ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 29 მარტი 2002 №54 (1576) | ფასი 50 თეთრი

# რა დროს ჰიტლერი, ლენინი, სტალინია, აგერ, ტალინია!

## ესტონელები რუსულ თვითმფრინავში აღარ ადიან






მაინც რა ჭირად გადაწყვიტეს რუსებმა ესტონეთში ამხანაგური თამაშის გამართვა?

ვითომ არ იცოდნენ, რომ ამ თამაშს პოლიტიკური სარჩული მოედებოდა. ალბათ იცოდნენ, მაგრამ ის თუ ეგონათ, რომ ფეხბურთში არცთუ ნიჭიერ ესტონელებს დაამარცხებდნენ და ამით საჩუქარს მიუძღვნიდნენ ესტების ქვეყნის უფლებააყრილ რუსულ მოსახლეობას.

პირიქით კი მოხდა. როგორც თავად რუსები ამბობენ, ხაწელი კაკ ლუჩშე, ა ვიშლო კაკ ვსეგდა.

რუსებმა წააგეს.

1940 წელს დაპყრობილმა ესტონეთმა საბჭოთა კავშირში მრავალი გაჭირვება გამოიარა და ახლაც ამ ქვეყანაში, მგონი, რუსი მეტი ცხოვრობს, ვიდრე ესტონელი. დიდ რუსეთს ძალიან აბრაზებს ესტონეთის მკაცრი კანონები, რომლებიც გამორიცხავს რუსი მოსახლეობის მონაწილეობას პოლიტიკაში, საკუთრებასა და სახელმწიფოს მართვაში.

გასაკვირი არაა, რომ ტალინის სტადიონზე ლენინისთავიანი დროშა და რუსული კომუნისტური ლოზუნგები ფრიალებდა. არც ისაა გასაკვირი, რომ ესტონელებმაც ფაშისტური „იუბერ ალეს" გამოფინეს. ბრაზი ორივე მხრიდან უზომოა. ესტონეთი ორ სამყაროდ გაჭრილი ქვეყანაა.

ამასობაში კი სადღაც გაქრა ფეხბურთი, რომელშიაც ესტონელებმა სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოლეს და გაიმარჯვეს.

იქაური კანონებისა და განწყობის, აბა, რა გითხრათ და, ამგვარი გამარჯვება ჩვენც, რუსების საფეხბურთო მეტოქეებს, ძლიერ მოგვიხდებოდა. ეს თამაში მაგალითად გამოგვადგება, ისევე, როგორც ესტონელებს უნდა გამოადგეთ გასათბობად ჩვენებური მზე. რუსებმა კი... სჯობს, თავი დაგვანებონ თავიანთი პოლიტიკით და ფეხბურთი ჯანდაბას, ვითამაშოთ.







მარგუს ლუიკი ტალინიდან
საგანგებოდ „სარბიელისთვის"

## სტუმრები მავზოლეუმიდან

## წაგებულ დროშას აღარ აფრიალებენ

რუსეთის ნაკრებთან თამაშზე ლაპარაკი, მით უფრო, ვნებათაღელვა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ეს ამხანგური შეხვედრა დაიგეგმა.

მატჩის წინა დღეს მოსკოვიდან და სანკტ პეტერბურგიდან ტალინში ჩამოსულმა 30-40-კაციანმა ქომაგთა ჯგუფმა ესტონელი ფანები ისე გაალიზიანა, რომ არა პოლიციის სპეციალური რაზმი, სტუმარმასპინძელთა შორის შეტაკება გარდაუვალი იყო.

პოლიცია მატჩის დროსაც ფხიზლობდა. ჩამოსულმა რუსებმა ტრიბუნაზე ესტონელთა შეურაცხმყოფელი შოვინისტურ-ოკუპანტური ლოზუნგები გამოფინეს და აქაურები გამოიწვიეს. თადარიგი მასპინძლებსაც დაეჭირათ და ერთი-ორჯან ფაშისტური ლოზუნგიც გამოიკიდა. ის იყო, ფანებმა ერთმანეთისკენ გაიწიეს, რომ საქმეში ისევ პოლიცია ჩაერია. სამართალდამცავებმა რუსების სექტორი შეათხელეს და ტრიბუნაზე წესრიგი დამყარდა. განსაკუთრებით აქტიურები და თავზეხელაღებულნი კი იზოლატორისკენ გააქანეს. ამის შემდეგ მასპინძლებიც დაწყნარდნენ და უზომოდ გაიხარეს, როცა მსაჯის სასტვენმა რუსთათვის სენსაციური მარცხი, ესტონელთათვის კი ისტორიული გამარჯვება დააფიქსირა.

ესტონეთს ნამდვილად არ ჰყავს რუსთა დამჩაგრავი საფეხბურთო გუნდი, მაგრამ მონდომებას, ერთი კონკრეტული მატჩისთვის საბრძოლოდ განწყობასა და თავდადებას თურმე ესეც შესძლებია — პატარა ესტონეთმა დიდი რუსეთი შეარცხვინა.

თამაშის შემდეგ კი ბევრი არაფერი. ჩამცხრალი და მორჯულებული რუსი ფანები და მასპინძლები ძველი ქალაქის ბარებში ისხდნენ და განვლილ მატჩზე მშვიდად საუბრობდნენ. თავად გახლდით ასეთი სცენის მოწმე: რუსი და ესტონელი ერთმანეთს ჭიქას უჭახუნებდნენ.

ესტონეთი გუშინ ამაყობდა.

# ამხანაგური მატჩები. ჩვენი მეტოქეები

## რუსთა მეხუთე სირცხვილი

### ტალინი ალავერდს თბილისთან გადმოდის

**რუსეთი**

**ესტონეთი 2:1 რუსეთი**

1:0 ოპერი (10), 1:1 ბესჩასტნიხი (18), 2:1 ოპერი (85)
რუსეთი: ნიგმატულინი (ფილიმონოვი 46), კოვტუნი (ჩუგაინოვი 46), სენიკოვი, კარპინი (ბობერი 46; კარიაკა 72), მოსტოვოი (ხოხლოვი 46), სიჩევი (დაევი 46), ონოპკო (ნიკიფოროვი 46), სმერტინი (სემაკი 46), ტიტოვი, ბესჩასტნიხი (კერჟაკოვი 46), იზმაილოვი
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
6 500 მაყურებელი

**ესტონელებმა** თავისი ქვეყნის ისტორიას დიდი აბზაცი შემატეს. რუსეთის ჯავრი ფეხბურთით იყარა პოსტსაბჭოურმა პატარა ქვეყანამ. კაცი (მცოდნე მწვრთნელიც) ყოფილა არნო პაიპერსი, ოღნავადაც არ შეუშინდა მრისხანე მეტოქეს და ორგანიზებული, საზრიანი ტაქტიკით სახალხოდ შეარცხვინა რომანცევის გუნდი.

ტალინის ქუჩებში დღემდე არ შეწყვეტილა საყოველთაო ზეიმი. თავმოყვარე ესტონელები გამარჯვებულნი, სიამაყით აღვსილნი აღნიშნავენ ისტორიულ წარმატებას...

ევრო 2004-ის შესარჩევში ჩვენი თანაჯგუფელი რუსები რიხით ჩავიდნენ ტალინში. ამბობდნენ, ორ საქმეს ერთად გავაკეთებთ, თან მოვუგებთ, თანაც რამდენიმე ახალწვეულს გამოვცდითო და, მაგრამ მატჩის 10-ე წუთზე პირველი ალიყურიც იწვნიეს. დანიურ „ოლბორგში" მოთამაშე ანდრეს ოპერმა ლამის ფილტვების ანთება აჰკიდა, ისე ჩაუქროლა ვიქტორ ონოპკოს და ნიგმატულინის კარში ჩაჭედა ბურთი. გოლმა სტუმრების თავმოყვარეობაზეც იმოქმედა, ამოძრავდნენ რუსები და რვა წუთში სიჩევის პასით 24-ე სანაკრებო გოლი მიითვალა ბესჩასტნიხმა. ტაიმის დარჩენილი დრო თანაბარ თამაშში გაილია, თუმც ერთ-ერთ ეპიზოდში მარტინ კაალმამ ლამის ავტოგოლი გამოაცხო.

შესვენებაზე რომანცევმა შვიდი ფეხბურთელი შეცვალა და მატჩისწინა დაპირების ერთი პუნქტი შეასრულა. სტუმრები კი უტევდნენ, მაგრამ უჯიგროდ, შედეგად ხიფათიც ნაკლებ იქმნებოდა მასპინძელთა კართან. ესტონელები აუღელვებლად უმკლავდებოდნენ მოწინააღმდეგის ქაოსურ იერიშებს და მშვიდად ელოდნენ თავიანთ ჯერს. გადამწყვეტი მომენტი 86-ე წუთზე შეიქმნა. ესტონელებმა საკუთარი საჯარიმოდან ორი პასით სტუმართა მთელი შუახაზი გახვრიტეს და ერთბაშად სამი მასპინძელი დარჩა მცველის და მეკარის პირისპირ. დასარტყმელ პოზიციაში ისევ და ისევ მოულოდნელი ოპერი დარჩა და ფილიმონოვის გასილაქებაც არ დაზარებია. საფინალო სასტვენამდე ოპერს ჰეთ თრიქის გახერხებაც შეეძლო, მაგრამ ბურთი თავზე ვერ გადაუგდო კარიდან გამოსულ ფილიმონოვს, თუმც ამ ეპიზოდს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. შვედმა პეტერ ფროიფელდმა საფინალოდ დასტვინა და გულშემატკივარი ენით აუწერელ ბედნიერებას მიეცა. ტალინელმა ქომაგობამ ოცწუთიანი ოვაცია მოუწყო თავის გმირებს.

რუსების ანგარიშით მათ ნაკრებს მეხუთე მოულოდნელი მარცხი შეემთხვა ისრაელის, საბერძნეთის, ისლანდიის და სლოვაკეთის შემდეგ, იქნებ მეექვსედ ქართველებთან მატჩის შემდეგ მოუხდეთ ჩვენ რუს კოლეგებს რიგით მეექვსე საფეხბურთო სირცხვილზე წერა. საქართველო რიგში უნდა ჩადგეს!

**ბაატა ქვანტალიანი**


ესტონეთი სტადიონზე...


-ესტონეთი ესტონეთში

## რობი ბომბი

**ირლანდია**

**ირლანდია 3:0 დანია**

1:0 ჰარტი (19), 2:0 კინი (55), 3:0 მორისონი (90)
ირლანდია: დ. კელი (კოლგანი 66), გ. კელი, ჰარტი, კანინგემი, სტონტონი, კინსელა (ჰელი 64), მაკატირი (რიდი 66), ჰოლანდი, კ. მორისონი, რობი კინი (კონოლი 77), დაფი (რ. დანი 84)
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
მსაჯი: ბრაიან ლოულორი (უელსი)
42 000 მაყურებელი

**მსოფლიოს** ჩემპიონატის მოახლოებასთან ერთად უფრო და უფრო შედის ფორმაში ირლანდიის ნაკრები. ჩვენმა მომავალმა მეტოქემ დუბლინში დანია შემუსრა. მიკ მაკარტის გუნდი შეუდარებელი იყო, კუნძულელებმა თავიდანვე მოუჭირეს მარწუხი ვიკინგებს და მატჩის ბოლომდე არ ამოასუნთქეს მოწინააღმდეგე.

მაკარტის ექსპერიმენტული წყვილი ჰყავდა თავდასხმის ხაზში და სწორედ მისმა ამ არჩევანმა გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. ლიდსელმა რობი კინმა და „კრისტალ პალასის" კლინტონ მორისონმა შავი დღე აყარეს დანიელებს. ბოლო დროს „ლიდსის" სათადარიგოდ გამწესებული კინი დიდებულად გაისარჯა, მეორე ტაიმში გატანილი მისი გოლი ბომბად მონათლა მიკ მაკარტიმ. კინმა 55-ე წუთზე შეაგდო, როდესაც საჯარიმოს სიახლოვიდან იმ დროს დაარტყა, არავინ რომ არ ელოდა.

„არ მინდოდა კლუბში უთამაშებლობა ტვირთად დამწოლოდა. ამიტომ შევეცადე, მაქსიმალურად გამომევლინა ჩემი შესაძლებლობები და მგონი, შევძელი კიდეც ამის გაკეთება" — თქვა ნამატჩევს ბედნიერმა რობიმ და იმის აღნიშვნაც არ დაავიწყდა, საჯარიმოს გარედან პირველი [illegible]

კლინტონ მორისონმა [illegible] მაკარტის კიდევ ერთხელ შეახსენა თავი. მან თავის სადებიუტო მატჩში შარშან ხორვატებს გაუტანა, ოთხშაბათს კი მეტეორივით იქროლა დანიელთა საჯარიმოში. მორისონმა მატჩის ბოლოს ჩასცა ლახვარი სტუმრებს და ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე იხეირა.

საუცხოოდ ითამაშა ჯეელმა დემიენ დაფმაც და ლომის წილი დაიდო თავისიანთა გამარჯვებაში.

ირლანდიელთა აშკარა უპირატესობაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ საწყის 15 წუთში მარტო მორისონს შეეძლო ჰეთ თრიქის შესრულება. ფლანგზე დაფის ჭენაობის შემდეგ კლინტონი სამჯერ დარჩა ხელსაყრელ სიტუაციაში, მაგრამ სამჯერვე მეკარემ იმარჯვა. სორენსენმა რობი კინს და სტივ სტონტონსაც აჯობა, მაგრამ გოლი მაინც დროის ამბავი იყო და ასეც მოხდა, თავისიანთა დიდი უპირატესობა ჰარტმა ასახა ანგარიშში. დანიელებს იქვე გათანაბრებაც შეეძლოთ, მაგრამ ალან ნილსენმა საპენალტოსთან ჩაგდებულ ბურთს უხეიროდ დაჰკრა.

დანიელებს ერთი შანსი 74-ე წუთზეც ჰქონდათ, მაგრამ ებე სანდმა მისთვის უჩვეულოდ გააცუდა. ამ მომენტისთვის კინს უკვე გატანილი ჰქონდა ჯადო-გოლი.

მიუხედავად შთამბეჭდავი გამარჯვებისა, ნამატჩევს ჩვეულებისამებრ თავდაჭერილი იყო მიკ მაკარტი. მხოლოდ ის თქვა, მიხარია, რობიმ თავისი შესაძლებლობები რომ დაამტკიცაო. ირლანდიურმა პრესამ კი ხოტბა შეასხა თავისიანებს და მსოფლიოს ჩემპიონატის მოლოდინში ხელებს იფშვნეტენ კუნძულელები.

**ბაატა ქვანტალიანი**


რობი კინი

## არის კუნი, არ არის წუნი

**შვეიცარია**

**შვედეთი 1:1 შვეიცარია**

1:0 ოლბოკი (29), 1:1 კაბანასი (54)
შვეიცარია: ბორერი, ბ. ჰაასი, მაინინი, ანშო (ცვისიგი 77), მ. იაკინი, სელესტინი, კაბანასი, ფურნიე, ნკუფო (მ. ლომბარდო 65), ჰ. იაკინი, ა. ფრეი
მწვრთნელი: იაკობ კუნი
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
19 096 მაყურებელი

**იაკობ კუნმა** შვედური ფრე წარმატებად ჩაითვალა, შვედეთის ნაკრები იმ გუნდს არ ჰგავდა, ღილინ-ღილინით რომ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური. მიზეზად რამდენიმე წამყვანი მოთამაშის არყოფნა უნდა დავასახელოთ. მასპინძლებმა ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშეს და მიუხედავად ამისა, მოგებაც შეეძლოთ.

იაკობ კუნის შეგირდები სამწლიანი განშორების შემდეგ, შვედეთის ნაკრებში დაბრუნებულ იესპერ ბლომკვისტის ზუსტი პასით, ტრავმებით ტანჯულმა „ევერტონელმა" მარკუს ოლბოკმა დაამწუხრა.

შვეიცარიელებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, მაგრამ ბევრიც ვერაფერი მოახერხეს, სტუმრებს ერთობ უჭირდათ ბურთის მოწინააღმდეგის ნახევარზე გადატანა.

შვედები მეორე ტაიმშიც აქტიურობდნენ და ბევრჯერ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ 54-ე წუთზე თავად დაისაჯნენ მანინის კუთხურისას — კაბანასმა გაუტანა მაგნუს ჰედმანის შემცვლელ ისაკსონს. სტუმრებს ამის შემდეგ ღირებული არაფერი შეუქმნიათ, მასპინძლებმა კი ოთხი საგოლე შანსი ვერ გამოიყენეს.

ნამატჩევს შედეგით კმაყოფილმა შვეიცარიელთა დამრიგებელმა მონდომება შეუქო თავისი გუნდის მცველებს. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, ევროპის შესარჩევ ეტაპს მომზადებულები შევხვდებითო, თქვა იაკობ კუნმა.

**ბაატა ქვანტალიანი**


შვეიცარიელი ბერნტ ჰაასი და ჰენრიკ ლარსონი (№11)

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXIX ტური

უნიონი 0:0 ფიურტი
ალემანია 2:1 დუისბურგი
მაინცი 2:1 ზაარბრიუკენი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXVII ტური

ესენი 0:1 ლიუბეკი
მიუნსტერი 1:3 ვერდერი (მ)
კილი 1:1 პადერბორნი

სამხრეთ რეგიონალლიგა XXVII ტური

შტუტგარტი (მ) 2:1 დარმშტადტი
აალენი 0:1 ვეჰენი
ფულდა 0:1 ჰოფენჰაიმი

### შვეიცარია

II ეტაპი. B ჯგუფი. VII ტური

კონკორდია 2:1 კარუჟი
კრიენსი 1:3 ბელინცონა

### ალბანეთი

**ალბანეთი 1:0 აზერბაიჯანი**

1:0 ტარე (39)
ალბანეთი: ბექაი, ლალა (ბულკუ 88), ნ. დედეჯუშა, მურატი, ჰასი, ა. ჰაჯი (დობი 63), ბელაი (მუკა 46), დურო (ჯუბი 70), რაკლი, ტარე (ბოგდანი 70)
მწვრთნელი: სულეიმან დემოლარი
5 000 მაყურებელი

**ალბანეთმა** მშობლიურ „ტა ქალიზე" უსუსურ აზერბაიჯანს უმასპინძლა და მიუხედავად მოკრძალებული ანგარიშისა, უპრობლემოდ გაიმარჯვა.

წინა საკონტროლო მატჩში მექსიკელთაგან 0:4-ით ნაგვემმა ალბანელებმა ხაისათი კი გამოისწორეს, მაგრამ აზერბაიჯანისძლევას დიდი გმირობარომ არ სჭირდება, ცხადია.

მასპინძლები ჰანდიკაპითაც გაიმარჯვებდნენ, ალტინ რაკლის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ელვინ მურატს რომ გამოეყენებინა, მას მეკარე ჰუსეინ მაჰამადოვმა აჯობა.

## კალათბურთი

### ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 28 მარტი

**E ჯგუფი**

ბარსელონა 77:59 სკიპერი

**G ჯგუფი**

პანათინაიკოსი 88:78 ოლიმპიაკოსი
ოლიმპია 69:85 აეკ

**F ჯგუფი**

კინდერი 77:71 ეფესი

**H ჯგუფი**

ცსკა 81:77 მაკაბი

# ამხანაგური მატჩები
# ოთხშაბათი ჯგუფურად და წყვილად

### A ჯგუფი

**საფრანგეთი:** შოტლანდიასთან დაპირისპირების 72-წლიან ისტორიაში ეს 5:0 ყველაზე მსხვილი ანგარიშია

**სენეგალი:** ბოლივიელთათვის 2:1 მოგება იმითაც იყო საინტერესო, რომ სამხრეთამერიკულ ნაკრებებთან აქამდე არ უთამაშია

**ურუგვაი:** საუდის არაბეთთან 2:3 წააგო

**დანია:** დუბლინში ირლანდიელთაგან 0:3 სირცხვილი ჭამა

### C ჯგუფი

**ბრაზილია:** 30-თვიანი შესვენების შემდეგ ნაკრებში რონალდო დაბრუნდა, ერთადერთი გოლი კი იუგოსლაველთა კარში ლუიზაომ შეაგდო

**თურქეთი:** ზედიზედ მეთხუთმეტე ამხანაგური მატჩი ვერ მოიგო. ამჯერად სამხრეთ კორეასთან ფრედ ითამაშა

**ჩინეთი:** არ უთამაშია

**კოსტა რიკა:** ბუაბად ბუდენის კინკილა გოლით შინ დამარცხდა მაროკოსთან

### E ჯგუფი

**გერმანია:** ამერიკელებმა მის დაცვაში უამრავი ღრიჭო იპოვეს, თუმც 4:2 მოიგო

**საუდის არაბეთი:** 3:2 მოუგო ურუგვაის

**ირლანდია:** ამბობენ, ასე კარგად რა ხანია, არ უთამაშიაო, რაც შედეგშიც აისახა — 3:0 დანიასთან

**კამერუნი:** ფრედ ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტ არგენტინასთან

### G ჯგუფი

**იტალია:** შეცვლაზე შესული ვინჩენცო მონტელას დუბლით ინგლისი დაამარცხა მისსავე მოედანზე

**ეკვადორი:** 3:0 მოუგო ბულგარეთს ნიუ იორკში

**ხორვატია:** ვერაფრით გატეხა სრეჩკო კატანეცის სლოვენიის დაცვა, თუმც თავადაც არ გაუშვა

**მექსიკა:** არ უთამაშია

### B ჯგუფი

**ესპანეთი:** კამაჩო ჰოლანდიასთან მარცხისგან (0:1) ვერც ხუთმა შეცვლამ იხსნა

**სლოვენია:** მოსაწყენ თამაშში უგოლო ფრეს გამორჩა ხორვატიასთან

**პარაგვაი:** უამრავი საგოლე მომენტის გაფუჭების გამო ნიგერიასთან ოდენ ფრეს (1:1) დასჯერდა

**ს. აფრიკა:** მტკივნეული მარცხი იწვნია საქართველოსთან (1:4)

### D ჯგუფი

**ს. კორეა:** კარგი დაცვის წყალობით თურქეთთან ფრე გაახერხა

**პოლონეთი:** სენსაციური საშინაო მარცხი იწვნია იაპონიისგან — 0:2

**აშშ:** გერმანიასთან მატჩში პირველი და ბოლო გოლები კი გაიტანა, მაგრამ შუალედში ოთხი გაუშვა

**პორტუგალია:** განადგურდა ფინეთთან, ალბათ, ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელის არყოლის გამო

### F ჯგუფი

**არგენტინა:** ორჯერ უგებდა კამერუნს და ორჯერ გაუშვა

**ნიგერია:** ბოლოსკენ გატანილი პენალტითლა გადაურჩა პარაგვაისთან მარცხს

**ინგლისი:** ერიკსონმა იტალიასთან მეორე ტაიმში თითქმის მთელი შემადგენლობა შეცვლა და თამაშიც წააგო — 1:2

**შვედეთი:** შვეიცარიასთან ფრის მერე, მწვრთნელმა თქვა, ასე ცუდად არასდროს გვითამაშიაო

### H ჯგუფი

**იაპონია:** თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა ევროპაში, 2:0 მოუგო პოლონეთს

**ბელგია:** 2:0 იგებდა საბერძნეთთან და 2:3 კი წააგო. რობერ ვასეჟი მოხიბლული ნამდვილად არ დარჩა

**რუსეთი:** ესტონეთმა ჩვენთვის სასარგებლო გაკვეთილი ჩაუტარა

**ტუნისი:** ფრე ნორვეგიასთან მუნდიალის წინ არცთუ კარგი შედეგია·

# ერთის შეცვლამ ცხრისას აჯობა

## ინგლისი 1:2 იტალია

**1:0 ფაულერი (63), 1:1, 1:2 მონტელა (67, 90პ)**
**ინგლისი:** მარტინი (ჯეიმსი 46), მილსი (ფ. ნევილი 46), საუთგეიტი (კინგი 46), ს. კემბელი (ეჰიოგუ 46), ბრიჯი (გ. ნევილი 87), ბექჰემი (მერფი 46), ლამპარდი (ჯ. კოული 46), ბატი (მარგრივსი 46), ტ. სინკლერი (შერინგემი 71), ოუენი (ვასელი 46), ჰესკი (ფაულერი 46)
**იტალია:** ბუფონი, პანუჩი (კოკო 75), კანავარო, ნესტა (ადანი 82), მატერაცი (იულიანო 57), ძამბროტა, კ. ძანეტი (გატუზო 57), დი ბიაჯო (ალბერტინი 57), დონი (ტომაზი 75), ტოტი (მონტელა 46), დელვეკიო (მაკარონე 75)
**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
**36 635 მაყურებელი**

**პირველი ტაიმი** მოსაწყენი გამოდგა, მეორეში კი თამაში გახალისდა, რაც, ტაბლოს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იმ ფეხბურთელების დამსახურებაა, რომლებიც შესვენებამდე სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდნენ მოვლენებს თვალს. კერძოდ, ლიდსის „ელანდ როუდზე" შეკრებილმა მაყურებელმა პირველი გოლი, 63-ე წუთზე რობი ფაულერის შესრულებით იხილა, შემდეგ კი, 67-ე და 90-ე წუთებზე ორჯერ ვინჩენცო მონტელამ გამოიჩინა თავი — ფაულერიცა და მონტელაც მოედანზე მეორე ტაიმში შევიდნენ.

ფაულერმა „ვესტ ჰემის" ახალგაზრდა მოთამაშის, ჯო კოულის ლონიერი გარღვევა დაასრულა შედეგიანად, ხოლო მონტელამ პირველი შორიდან ულამაზესი დარტყმით შეაგდო, ხოლო მეორე პენალტით. პენალტის დანიშვნის მიზეზი მასპინძელთა მეკარის, დევიდ ჯეიმსის მიერ მასიმო მაკარონეს წაქცევა გახლდათ.

მატჩის შემდეგ პრეს-კონფერენციაზე ინგლისელთა შვედმა მწვრთნელმა, სვენ გორან ერიკსონმა ჟურნალისტთა შეტევები ჩვეული დიპლომატიით მოიგერია, ხოლო საკუთარი მოთამაშეების კრიტიკა არ იკადრა:

„დღევანდელი მარცხი გულს მიკლავს, მაგრამ საგანგაშო ვერაფერი დავინახე, რადგან გუნდში საუცხოო სულისკვეთებაა. ჩვენ ჩინებული ფეხბურთი ვითამაშეთ, ისეთივე, როგორც იტალიამ, მაგრამ იტალიელები გამოცდილებით გვჯობდნენ და შედეგსაც ამის წყალობით მიაღწიეს".

როდესაც 53 წლის შვედს 90-ე წუთი და ის ეპიზოდი შეახსენეს, კოულის შეცდომის გამო ინგლისელთა საჯარიმოში საპენალტე ვითარება რომ შეიქმნა, მან უპასუხა:

„ამაზე სრულებით არ ვბრაზობ. როდესაც ახალგაზრდა ხარ და იტალიას ეთამაშები, შეცდომა შეიძლება დაუშვა, ნახავთ, ერთ წელიწადში ან სულაც ორ თვეში კოული გაცილებით ნასწავლი ფეხბურთელი იქნება."

ფეხბურთელი, რომლის თამაშითაც ერიკსონი საგანგებოდ კმაყოფილი დარჩა, საუთჰემპტონელი უეინ ბრიჯი გახლდათ: „მან ძალიან კარგად ითამაშა. ის თანამედროვე ტიპის მარცხენა მცველია, რომელმაც ზუსტად იცის, როგორ დაიცვას თავი და როგორ გადავიდეს შეტევაზე. ხაზს ვუსვამ, მას არ ეშინია წინ წასვლის და თავისი უნარის იქ გამომჟღავნების".

რაც შეხება გამარჯვებულთა თავკაც ჯოვანი ტრაპატონის, მას ვინჩენცო მონტელას განსაკუთრებული ქება არ დაუწყია:

„მონტელა ის ფეხბურთელია, რომელსაც შეუძლია ძალიან გაგახაროს, მაგრამ შეუძლია გულიც არანაკლებ გატკინოს, თუმცა დღევანდელზე უნდა ითქვას, რომ დიდებულად ითამაშა."

შემდეგ ტრაპატონიმ მეტოქე აქო: „ინგლისელები ყოველთვის აღმაფრთოვანებენ ხოლმე. რამდენჯერ ჩამოვსულვარ ამ ქვეყანაში და ყოველთვის დავრწმუნებულვარ, რომ აქ თამაში უძნელესი საქმეა".

ტრავმათა გამო, რაოდენობრივად ინგლისელებს მეტი ხალხი აკლდათ — სტივენ ჯერარდი, პოლ სქოულზი, რიო ფერდინანდი და ეშლი კოული, მაგრამ ხარისხობრივად არც იტალიის დანაკლისი გახლდათ ნაკლები — არ იყვნენ კრისტიან ვიერი და ფილიპო ინძაგი.

ჯოვანი ტრაპატონიმ შეხვედრა „სკუადრა ადურასთვის" ერთობ უცხო განლაგებით, 4-4-1-1-ით დაიწყო. ამ სქემაში მარკო დელვეკიო ერთადერთი წინ წაწეული თავდამსხმელის როლს ასრულებდა, ხოლო მის უკან ნახევარმცველის ფუნქცია ფრანჩესკო ტოტის ეკისრა.

მასპინძლები ორი თავდამსხმელით იყვნენ მოედანზე — მაიკლ ოუენი და ემილ ჰესკი.

პირველ ნახევარში, 25-ე წუთზე, კემპბელმა კინაღამ გახსნა ანგარიში, მაგრამ მისი ახლოდან დარტყმული იტალიელთა მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა ხარიხას მიღმა გადააგდო. ხოლო „სკუადრა ადურას" საუკეთესო მომენტი 41-ე წუთს დაემთხვა, როდესაც ჯანლუკა ძამბროტა მარჯვნიდან შევარდა და მეკარე ნაიჯელ მარტინს ოსტატობის გამომჟღავნება მოუხდა.

შესვენებისას ინგლისელებმა ცხრა ფეხბურთელი შეცვალეს, ხოლო იტალიის გუნდში სიახლე მხოლოდ ერთი გახლდათ: ტოტის ნაცვლად მონტელა.

ხოლო რა მოჰყვა ასე გადახალისებულ მეორე ტაიმს, ზემოთ უკვე ვახსენეთ.

**ბაჩუნა ძიძია**



REUTERS

ალესანდრო ნესტამ და მარკო მატერაციმ (მარჯვნივ) ემილ ჰესკი ლამის გაჭყლიტეს



REUTERS

ოლივერ ბირჰოფმა ედი პოპისგან წაქცევის გოლით უპასუხა

# რუდი, დაცვას მიხედე, დაცვას

## გერმანია 4:2 აშშ

**0:1 მეტისი (17), 1:1 ციგე (44), 2:1 ნოივილი (61), 3:1 ბირჰოფი (65), 4:1 ფრინგსი (68), 4:2 მეტისი (71)**
**გერმანია:** როსტი (ბუტი 46), ბაუმანი, ლინკე, შნაიდერი (ასამოა 75), ფრინგსი, რამელოვი, ციგე (ბოდე 61), იერემისი (ჰაინრიხი 69), ჰამანი, ბირჰოფი, ნოივილი (ბრდარიჩი 80)
**აშშ:** კელერი, რეგისი, აგოსი (ბერჰალტერი 72), ჩერუნდოლო (სანე 71), პოპი, დონოვანი, არმასი, სტიუარტი, ლუისი (ჯოუნსი 69), კიროვსკი (მური 60), მეტისი
**მსაჯი:** ბერნარდ ბრუგერი (ავსტრია)
**28 835 მაყურებელი**

**როსტოკულმა** მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თუ თავდასხმაში გერმანელებს მეტ-ნაკლებად მოუგვარებიათ საქმე, დაცვაში კვლავაც სერიოზული პრობლემები აწუხებთ, რაც მოახლოებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მათთვის საბედისწერო შეიძლება გამოდგეს.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებმა რაღაც შოკისმაგვარი განიცადეს, როცა მე-17 წუთზე „მეტროსტარზის" თავდამსხმელმა, კლინტ მეტისმა მოულოდნელად სტუმრები დააწინაურა. ბევრი დრო არ გასულა და ბუნდესნაკრები კინაღამ მეორედაც შერცხვა. ოლივერ კანის მაგიერ ნაკრების კარში პირველად მდგარმა 29 წლის ვერდერელმა ფრანკ როსტმა იმავე მეტისის ფეხიდან ასხლეტილი ბურთის მოგერიება მოახერხა.

მასპინძლებს არ ჰყავდათ ისრაელთან წინა ამხანაგური მატჩის გმირი მიროსლავ კლოზე, ასევე დაშავებული ლევერკუზენელი მიხაელ ბალაკი და ის აგრესიაც აკლდათ, ბალაკს რომ გამოარჩევს ხოლმე. შეტევით კი უტევდნენ, მაგრამ ოლივერ ბირჰოფისა და ბერნდ შნაიდერის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. ისევ ძველმა კაცმა იმარჯვა, კრისტიან ციგემ, ვისაც კაპიტნის სამკლავური კანის არყოფნის გამო გაეკეთებინა, ტაიმის ბოლოს შორიდან დიდებული საჯარიმო გაიტანა.

შესვენების მერე გერმანელები უფრო ლაღად ათამაშდნენ და მიზანსაც კიდევ სამჯერ მიაღწიეს. ნოივილის, ბირჰოფისა და ფრინგსის დარტყმები ზუსტი გამოდგა. ბოლოსკენ კი, ისევ მასპინძელთა დაცვის შეუთანხმებლობის მიზეზით, დაუოკებელმა მეტისმა ერთი საპასუხოც შეაგდო.

„დღევანდელი შეხვედრის ბედი გერმანელების ღონიერებამ გადაწყვიტა. ჩვენ უკეთ უნდა დაგვეცვა თავი და ხანდახან მეტი თავდადებაც გვმართებდა, მოწინააღმდეგემ ძალიან ბევრი ორთაბრძოლა მოგვიგო. და საერთოდ, გერმანელებმა უკეთესი გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს" — თქვა ამერიკელთა მწვრთნელმა ბრიუს არენამ.

ბუნდესმწვრთნელი რუდი ფიოლერი კი თავისიანების გარჯით ერთობ კმაყოფილი დარჩა, ბიჭებმა თამაშში მთელი ჯიგარი ჩადეს და დამსახურებულად გაიმარჯვესო. თუმცა ისიც დააყოლა, ამერიკელებმა ჩვენს სამკაციან დაცვაში ბზარები მოძებნეს და პოზიციური შეცდომებიც დაგვაშვებინეს, რაც მომავალში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთო.

**სოლომონ გულისაშვილი**

# ამხანაგური მატჩები


REUTERS სერ დუნიდან

პატრიკ ვიეირამ, ზინედინ ზიდანმა და ტიერი ანრიმ დიდად გაიხარეს...

## ექლვნება რობერ პირესს ვასრულებთ დანაპირებს

### საფრანგეთი 4:2 შოტლანდია

1:0 ზიდანი (12), 2:0 ტრეზეგე (23), 3:0 ანრი (32), 4:0 ტრეზეგე (42), 5:0 მარლე (88)
საფრანგეთი: ბარტეზი, კანდელა (კარამბუ 58), ლებეფი (კრისტენვალი 64), დესაი (სილვესტრი 46), ლიზარაზუ, ვიეირა (მაკელელე 46), ე. პეტი, ზიდანი (ჯორკაეფი 81), ვილტორდი (მარლე 58), ტრეზეგე (კარიერი 74), ანრი
შოტლანდია: სალივანი, ვეირი, ლამბერტი, მატეო, კრეინი, დეილი, კოლდუელი, კამერონი (მოლტი 46; მაკნამარა 75), ფრიდმენი (ჯემილი 46), კროუფორდი (ტომპსონი 64), მაკკანი
მსაჯი: იაცეკ გრანატი (პოლონეთი)
75 000 მაყურებელი

„**ფრანგებს** ჰგონიათ, რომ შოტლანდიის ნაკრები ბიჭბუჭებით ჩავიდა პარიზში. არამც და არამც, შეიძლება მთლიანობაში გუნდი ახალგაზრდულია, მაგრამ ნურავის დაავიწყდება — შოტლანდია 90 წუთის განმავლობაში ომობს". ეს გახლდათ სქოთთა გერმანელი მწვრთნელის, ბერტი ფოგთსის ნათქვამი მატჩამდე. ამჯერად, ომი, როგორც ასეთი, ვფიქრობ, არ შედგა. შოტლანდიელთა წინააღმდეგ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებმა ნამდვილი მასწავლებლებივით ითამაშეს. მასწავლებლებს, გეხსომებათ, თვითონ გერმანელი სპეციალისტიც ეძებდა, დიდ გუნდებთან პაექრობა გვმართებს, მათგან ბევრს ვისწავლითო. ახლა მოითხოვოს მატჩის ვიდეოკასეტა, ჩაუჯდეს სიგარეტით და ყავით ხელში, გადააზვიოს, გადმოაზვიოს და ისწავლოს.

ბლიცგაკვეთილი დამწყებთათვის „ლექტორმა", ზინედინ ზიდანმა დაიწყო. ბედუინივით ყველგანმყოფი „ზიზუ" მეტოქის საჯარიმოს წინა ხაზთან უშნოდ მოკუნტრუშე ბურთს გადააწყდა. ზიდანმა კუნტრუშა ჰაერშივე შეიპყრო და ნილ სალივანის კარისკენ ისეთი გადაუჭირა, რომ მოხაზულ ტრაექტორიას ოხშივარი აუვიდა. სალივანი არ იყო ამ ბურთის ამღები და თავიც არ გამოუდვია. დასცხათ ბერტი ფოგთსის პირტიტველა მოყმეთ, მაგრამ ამბავი სირცხვილჭამისა, მხოლოდ იწყებოდა. ნახევარ საათში ფრანგებმა სტუმართა აჟურული დაცვა კიდევ სამჯერ გაარღვიეს. დავიდ ტრეზეგემ თავურით უთავაზა და ცხრიანში ჩაახუჭუჭა. მერე ალავერდი ტიერი ანრისთან გადავიდა. ლონდონელმა „მეთოფემ" ისეთი ჰკრა, სალივანის კარი კინაღამ საფანტივით დაიშალა. ტაიმის ბოლოს აზარფეშამ ისევ დავიდ ტრეზეგეს მიაკითხა. ტრეზეგემ საჯარიმოში მიღებული ბურთი ერთ კუბურ სანტიმეტრში მოათვინიერა და მეტოქის კარში ჩაასვენა. მეხუთე, ფოგთსისა და შოტლანდიის დამხუთველი გოლი, შეცვლაზე შესულმა სტივ მარლემ შეაგდო. ეს ამბავი უკვე სტუმართა ტანჯვის დასასრულს მოხდა.

მატჩში კიდევ ერთი რამ სახალისო გამოერია. მანჩესტერში აპრობირებული ცუნდრუკაობა ფაბიენ ბარტეზმა სენ დენიში ჩაიტანა. მცველისგან დაბრუნებულ ბურთს, რატომღაც, მოულოდნელად, ფეხი ააცილა. ბურთიც კარის ძელს მიეალერსა და მშვიდად გაგორდა მინდვრიდან. ბარტეზმა მხრები აიწურა, მანჩესტერში უარესები დამმართნიაო.

ბერტი ფოგთსი: „პირველ ტაიმში ჩვენ გვეთამაშა მსოფლიო კლასის გუნდი და შესაძლებელია, მსოფლიოს მომავალი ჩემპიონი. მათი წნეხი ჩვენს დაცვაზე, შეიძლება ითქვას, არაბუნებრივი, არამიწიერი გახლდათ".

მარსელ დესაიმ კი განაცხადა, რომ ამ გამარჯვებას უდროო დროს ტრავმამიღებულ რობერ პირესს უძღვნიან და მოუთმენლად ელიან მომდევნო მატჩს რუსებთან, მაგათი ჯავრი უნდა ვიყაროთო.

**ვაჟა ხუციშვილი**


REUTERS სერ დუნიდან

...ბერტი ფოგთსს კი თავბედი აწყევლინეს

## კინო მირჩევნია ფეხბურთს...

### პორტუგალია 1:4 ფინეთი

0:1 კოლკა (9), 0:2 ფორსელი (27), 1:2 კონსეისაუ (40), 1:3, 1:4 ლიტმანენი (42, 52)
პორტუგალია: რიკარდუ (ნელსონი 46), მარიუ სილვა (კანეირა 46), ჟორჟე კოშტა (ჟორჟე ანდრადე 46), ფ. კოუტუ, ნუნუ ფრეშაუ, ა. პეტი (ბინუ 46), ს. კონსეისაუ, ვიდიგალი (უგო ვიანა 46), სიმაო (ნუნუ გომეში 28), ჟოაუ პინტუ (ნუნუ კაპუშუ 46), პაულეტა
ფინეთი: ნიემი, პიიპა (კუივასტო 46), ტიჰინენი, საარინენი (პეიტანენი 68), რეინი, რიიჰილაჰტი (გრონლუნდი 68), კოლკა, ნურმელა (როია 82), ტაინიო (ვალაკარი 85), ლიტმანენი, ფორსელი (იოჰანსონი 68)
მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერე (ბელგია)
8 000 მაყურებელი


REUTERS პორტუგალიიდან

ფინელთა კაპიტანმა იარი ლიტმანენმა პორტუგალიელებს შავი დღე აყარა

**მსოფლიოს** ჩემპიონატი ზღურბლზეა, მისი მომლოდინენი კი დიდ სამზადისში არიან. ბოლო დღეებში სამუნდიალოდ გამზადებულთაგან თითქმის ყველამ იბურთავა, ვინც თავის კბილა ვერ მოიხელთა სუსტი გამოიჭირა.

ასეთად პორტუში გასამართი მატჩიც მიიჩნეოდა, სადაც, ბევრის აზრით, კარსმომდგარი ფორუმის ერთ-ერთი ფავორიტი პორტუგალია „ბორტსმილმადარჩენილ" ფინეთს ხვდებოდა, თუმცა...

ეტყობა, პორტუგალიელებმა არად ჩააგდეს ფინური ფეხბურთი, თან თვისტომთკამკაშები, ლუიშ ფიგუ და მანუელ რუი კოშტაც აკლდათ და სეირის საცქერად 8 ათასი კაცი ძლივს შეგროვდა. შინ დარჩენილთ, როგორც გაირკვა, გაუმართლათ, რადგან სეირს კი ნახავდნენ, ოღონდ ფინელთა მოწონებულს... ჩრდილოელებმა გაიმარჯვეს, უფრო ზუსტად, თავლაფი დაასხეს თავმომწონე მასპინძლებს.

1:4-ის შემდეგ პორტუგალიელთა სახელანძლული მწვრთნელი ანტონიუ ოლივეირა მაინც ოპტიმისტურად ამეტყველდა: ეს მარცხი ერთი მხრივ კარგია, რადგან ბოლო წარმატებებით ფრთაშესხმულ ჩემს ფეხბურთელებს მიწაზე დაუშვებს და მომავალში ყველა მეტოქეს სათანადოდ შეაფასებინებსო.

ისე, ოლივეირასთვის ამ მატჩის შედეგს ნაკლები მნიშვნელობა რომ ჰქონდა, მისი ქცევიდანაც გამოჩნდა. პორტუგალიელთა თავკაცმა მის განკარგულებაში მყოფი თვრამეტივე ფეხბურთელი ათამაშა, თან ისე, მეორე ტაიმის დაწყებისას ყველა ცვლილება გამოყენებული ჰქონდა. ამიტომაც იყო, მასპინძლებმა ბოლო 15 წუთი კაცნაკლულებმა რომ ჩაამთავრეს — 75-ე წუთზე ნუნუ ფრეშაუმ ტრავმა მიიღო და ოლივეირას აღარავინ ჰყავდა მოედანზე შესაყვანად.

ამ მომენტისთვის კი ფინელებს მატჩის ბედი გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომელთაგან ათას ქებას ლივერპულელი ახლადმომჯობინებული იარი ლიტმანენი იმსახურებს, ვინაც პორტუგალიელთა ლებიუტანტ კარის დარაჯ ნელსონ პერეირას მყუდროება ორჯერ დაურღვია.

იონას კოლკამ პორტუგალიელებს მისალმება არ დააცალა და მე-9 წუთზე დრიბლინგით გაბრუებულ ნუნუ ფრეშაუს მასპინძელთა მეკარეც მიაყოლა. მალე ფინელთა „ჩელსის" ფორვარდმა მიკაელ ფორსელმაც იყოჩაღა — 2:0. სერჟიუ კონსეისაუს ტაიმის მიწურულს ინდივიდუალურად გატანილმა რწმენა შემატა პორტუგალიელებს, თუმც ოლივეირამ შესვენებაზე ერთბაშად 6 ფეხბურთელი შეცვალა და მონასტერიც არია. ფინელთა არქიმეგოლემ იარი ლიტმანენმა მასპინძლებს 10 წუთში დუბლი შეუსრულა და მესამესაც არ დაიკლებდა, ახალბედა მეკარეს ყოჩაღად რომ არ ეხტუნავა. პორტუგალიელებმა დარჩენილ დროში ვერაფერი დააკლეს სტუმრებს და 18-მატჩიანი საშინაო წაუგებელი სერიაც შეწყვიტეს.

სამწყსოს უხამსო თამაშის აღიარება მაინც მოუხდა ანტონიუ ოლივეირას, ვისი თქმითაც, ჯობდა კინოთეატრში საღამოს სეანსისთვის ეცქირა, ვიდრე თავისიანთა ცოდვილობისთვის.

**ირაკლი ბერტაია**

## ერთი დარტყმა სიცარიელეში

### ჰოლანდია 1:0 ესპანეთი

1:0 დე ბური (32)
ჰოლანდია: ვან დერ სარი (ვატერეუსი 46), რაიციგერი, სტამი (ოიერი 46), ფ. დე ბური, ნუმანი (პაუვე 71), ვან ბომელი (ლანძაატი 64), მაკაი (რიკსენი 84), კოკუ, პასელბაინკი, კლუივერტი, ოვერმარსი (ვ. სიკორა 68)
ესპანეთი: კანისარესი, პუიოლი, ხუანფრანი, ელგერა (კაპი 46), ნადალი (კურო ტორესი 79), იერო (სეზარი 46), სერხიო, დე პედრო (ვისენტე 68), ხოაკინი (ტიკო 46), რაული (ვალერონი 46), მორიენტესი (ტრისტანი 46)
მსაჯი: კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)
25 000 მაყურებელი


REUTERS როტერდამიდან

მიხაელ რაიციგერმა და კაპიტანმა ფრანკ დე ბურმა რაულს ბურთს არ გაკარეს

**ჰოლანდიის** ნაკრების კაპიტანმა ფრანკ დე ბურმა პირველ ტაიმში შესრულებული ერთი დარტყმით თავის გუნდს ესპანეთი დაამარცხებინა. შეხვედრა როტერდამის სტადიონ „დე კუიპზე" გაიმართა, ოღონდ ამ სტადიონის ტრიბუნები სანახევროდ ცარიელი გახლდათ. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დღეს „დე კუიპს" 65 წელი შეუსრულდა, ასეთი სიხალვათე სრულიად გაუგებარი იყო, მაგრამ დე ბურის თავურით იმ ცოტა მაყურებელმა ძლიერ გაიხარა.

ესპანელების მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ შესვენებისას ხუთი ფეხბურთელი შეცვალა, მაგრამ ამით გუნდი (არადა, ჰოლანდიისგან განსხვავებით ესპანეთი მსოფლიოს ჩემპიონატზე მიდის) უკეთ არ ათამაშებულა.

მატჩის შემდეგ კამაჩომ განაცხადა: „შეხვედრის სუსტი მხარე ის გახლდათ, რომ ჩვენ პირველი 15 წუთის შემდეგ მეტოქის პრესის ქვეშ მოქცევა ველარ მოვახერხეთ. სამაგიეროდ იყო დადებითი მხარეც, კერძოდ კი ის, რომ მეორე ტაიმში ბურთს ვაკონტროლებდით და მომენტების შექმნაც მოვახერხეთ".

კამაჩოს კოლეგამ, დიკ ადვოკაატმა კი განაცხადა: „მართალია, 1:0-ს 2:0 ან 3:0 მერჩივნა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ პირველი 10 წუთის გარდა დანარჩენით კმაყოფილი დავრჩი".

**ბაჩუნა ძიდია**

# ამხანაგური მატჩები



რონალდომ (მარჯვნივ) ერთი ტაიმით დაიწყო...

## ფავორიტმა აფრიკული თასი ვერ დალია

### არგენტინა 2:2 კამერუნი

1:0 ვერონი (17პ), 1:1 ეტოო (20), 2:1 აიმარი (63), 2:2 სუფო (86)
არგენტინა: ბურგოსი, ზამოტი, პოჩეტინიო, სამუელი, ხ. ძანეტი (ალმეიდა 46), სორინი (პლასენტე 76), ვერონი, კილი გონსალესი, აიმარი, კანიჯა (სოლარი 89), კ. ლოპესი
კამერუნი: ალიუმი, ვომე, ჩატო, სონგი, კალა, ჯემბა (ებალე 74), ფოე, ოლემბე (ნგომი 81), ჯერემი, ეტოო, ნდიეფი (სუფო 70)
მსაჯი: ფილიპ ლეობა (შვეიცარია)
7 660 მაყურებელი

**აფრიკის თასის** მფლობელნი ჟენევას ეწვივნენ. კამერუნელებმა უნდა დაიკვეხონ, ძლიერი გამომცდელიც ვიპოვეთ და კაცურადაც ვეთამაშეთო — არგენტინას ხომ სპეციალისტთა უმეტესობა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევს. ასეთ გუნდთან გაჯიბრება კი ყველასთვის სასურველია.

ბურთაობა, თანაც გემრიელი, მსაჯის სასტვენისთანავე გაჩაღდა. დიდი დაზვერვა-მოსინჯვები და ჭოგრიტებით ყურება აზრად არავის მოსვლია, ეგრევე მაღლიანი თამაში დაიწყო. პირველივე წუთებზე კამერუნელთა საჯარიმოში თავისი კულულები დაყარა კლაუდიო კანიჯამ — სამუელ ეტოომ წააქცია. თმები გაისწორე და თამაში გააგრძელეო, იყო მსაჯის პასუხი, ვისგანაც მასპინძლები თერთმეტმეტრიანის დანიშვნას ელოდნენ. ამას მოჰყვა მარკ-ვივიენ ფოეს თავური ხერმან ბურგოსის კარში. ფოეს დარტყმულს ძელი ადგილზე დაუხვდა.

პენალტის აჩრდილი მაინც დაძრწოდა აფრიკელთა საჯარიმოში და მეთექვსმეტე წუთზე არბიტრმაც ნიშნულზე მიუთითა. რაიმონ კალამ პაბლო აიმარი დასცა ისე, რომ უეჭველი თერთმეტმეტრიანი იყო. ხუან სებასტიან ვერონმა ღილინ-ღილინით კი გაიტანა, მაგრამ სასიმღეროდ არგენტინელებმა ვერ მოიცალეს. სამუელ ეტოომ სამიოდ წუთში შეახსენა იქ მყოფთ, რომ ისინი აფრიკის თასის მფლობელნი არიან.

მეორე ტაიმში მასპინძლები ბოლომდე მიმართულნი გაიჭრნენ მოედანზე და პაბლო აიმარის წყალობით ისევ დაწინაურდნენ. მარსელო ბიელსამ ერთი კი ამოისუნთქა შვებით, თუმცა პატრიკ სუფომ, მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე გათანაბრება ინება. დარჩენილ დროში აფრიკელები უფრო იქაჩებოდნენ გოლის გასატანად, მაგრამ არგენტინელები გადარჩნენ.

კამერუნელთა მწვრთნელმა ნამატჩევს აღნიშნა, პირველ ტაიმში ოდნავ გაგვიჭირდა, მეორეში კი ვიპოვეთ საკუთარი თავი და შედეგიც კანონზომიერიაო.

**ვაჟა ხუციშვილი**



რაიმონ კალამ პაბლო აიმარი საპენალტედ დასცა

## დიდი ფილი, ცეროდენა

### ბრაზილია 1:0 იუგოსლავია

1:0 ლუიზაო (72)
ბრაზილია: მარკოსი, ლუსიო, ანდერსონ პოლგა (დენილსონი 46), როკე ჟუნიორი, კაფუ, ემერსონი (კლებერსონი 67), ჟილბერტო სილვა, რობერტო კარლოსი (ჟუნიორი 76), რონალდინიო (ჟუნინიო 80), რონალდო (ლუიზაო 46), ედილსონი (ჯალმინია 70)
იუგოსლავია: ჟევრიჩი, მირკოვიჩი, მიხაილოვიჩი (ჟოდიჩი 75), კრსტაიჩი, ლაზეტიჩი (კრივოკაპიჩი 80), ჯორჯევიჩი (ბოშკოვიჩი 75), ილკანოვიჩი (დულიაი 64), დმიტროვიჩი, მიატოვიჩი (კორომანი 54), მილოშევიჩი (ლაზოვიჩი 85), კეჟმანი (ილიჩი 80)
მსაჯი: ებიფანიო გონსალესი (პარაგვაი)
57 000 მაყურებელი

**დაბრუნდა**, რონალდო ნაკრებს დაუბრუნდა. ორწელიწადნახევრიანი იძულებითი შესვენების შემდეგ „კიჭამ" კბილები გამოაჩინა. ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ინტერბიჭუნას თამაშის საშუალება მისცა, ჯერჯერობით 45 წუთი.

იუგოსლავიელებთან ამხანაგური მატჩის წინ „დიდმა ფილმა" განაცხადა, მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე მთლად რონალდოს იმედზე ვერ ვიქნებიო: „დიდი ხანია, მას ნაკრებში არ უთამაშია, ამიტომ ჯერ ყველაფერი გარკვეული არაა. ვხედავ, რომ იგი ბევრს ცდილობს, თუმცა იუგოსლავიასთან და პორტუგალიასთან თამაშის შემდეგ გამოჩნდება, ვინ იმსახურებს მუნდიალზე წასვლას".

სკოლარიმ არც ამჯერად უხმო რომარიოს, რითაც უკვე მერამდენედ დაიმსახურა ქომაგთა წყრომა. მის ნაცვლად „გრემიოს" ფორვარდი ლუიზაო მიიწვია, რომელმაც საბოლოოდ გადაარჩინა კიდეც მწვრთნელი საყოველთაო რისხვას.

რონალდოს გაწვევით, მთლად არც „ინტერის" მამები იყვნენ კმაყოფილნი, თუ მიგყავთ, ათამაშეთ კიდეცო.

ამ ერთი ტაიმში, იუგები საკმაოდ მჭიდროდ ეთამაშნენ ტეტრაკამპეონებს, მაგრამ რონალდომ რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნა მაინც მოახერხა. ფხიზლად იდგა კარში სტუმართა მეკარე, ვინც თავისი სამფლობელო მშრალად შეინახა პირველ ნახევარში. უგოლო 45 წუთის ბოლოს კი 57 ათასმა გულშემატკივარმა დაუზარებლად უსტვინა სკოლარის. მიზეზი კი, რა თქმა უნდა, გოლის ვერგატანა იყო.

მეორე ტაიმში რონალდოს მაგივრად ლუიზაო გამოჩნდა. გოლი იგვიანებდა, მაყურებელი კი ისე განრისხდა, რომ მთავარ მწვრთნელს სულ იდიოტი უძახეს. ბედად 72-ე წუთზე ლუიზაომ თავი გამოყო და თავურით გამარჯვების გოლი გაიტანა. ამ გოლმა სკოლარის მხრებზე თავი შეუნარჩუნა.

ნამატჩევს გახარებულ რონალდოს თვალები უჟუჟუნებდა: „ბოლოს და ბოლოს თამაში მეღირსა. უზომოდ ბედნიერი ვარ. ვგრძნობ თანაგუნდელების მხარდაჭერას, ისინი ყველანაირად მეხმარებიან. მართალია, გოლი ვერ გავიტანე, მაგრამ ამ შეცდომას მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვასწორებ".

**ვაჟა ხუციშვილი**

## ასე გასრულდა კიდევ ერთი ამხანაგური დღე – რუსთა შერცხვენით, იდიოტის ძახილით და სხვა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ამბით



ეკვადორი — ბულგარეთი. სამხრეთამერიკელმა ივან კავიედესმა ევროპელ ელინს ფეხი სახიფათოდ მოუღერა

**ავსტრია 2:0 სლოვაკეთი**
1:0 ბრუნმაირი (64), 2:0 მ. ვაისენბერგერი (78)

**უელსი 0:0 ჩეხეთი**

**ლუქსემბურგი 0:3 ლატვია**
0:1 რუბინსი (22), 0:2 ლაიზანსი (59), 0:3 ვერპაკოვსკისი (72)

**ლიხტენშტაინი 0:0 ჩრდ. ირლანდია**
გაძევება: ლომასი (48, ჩრდ. ირლანდია)

**მალტა 1:1 ანდორა**
0:1 ი. ლიმა (77), 1:1 ტეუმა (85)

**საუდეთი 3:2 ურუგვაი**
0:1 ფორლანი (4), 1:1 ალ დოსარი (9), 2:1 ალ ვაკიდი (17), 3:1 ალ დოსარი (19), 3:2 ფ. ონილი (59)

**საბერძნეთი 3:2 ბელგია**
0:1 გოორი (32), 0:2 სონკი (53), 1:2 ცარტასი (59პ), 2:2, 3:2 ვრიზასი (80, 87)

**ტუნისი 0:0 ნორვეგია**

**სენეგალი 2:1 ბოლივია**
1:0 პ. დიოპი (44), 1:1 ბენგოლეა (48), 2:1 მ. ნიანგი (64)

**მოლდოვა 0:2 უნგრეთი**
0:1 კენეში (12), 0:2 ნ. ტოტი (49)

**რუმინეთი 4:1 უკრაინა**
1:0 დ. მუნტიანუ (13), 2:0, 3:0 პანჩუ (17, 31), 4:0 განეა (38), 4:1 შიშჩენკო (47)

**პოლონეთი 0:2 იაპონია**
0:1 ნაკატა (9), 0:2 ტაკაჰარა (42)

**ბოსნია 4:4 მაკედონია**
1:0 ბოლიჩი (3), 2:0, 3:0 ბარბარესი (14, 37), 3:1 ზაკირი (53), 3:2 ს. ჩირიჩი (63), 4:2 ბოლიჩი (67), 4:3, 4:4 ზაკირი (76, 88)

**ეკვადორი 3:0 ბულგარეთი**
1:0 კავიედესი (24), 2:0 კ. ტენორიო (51), 3:0 კავიედესი (82)

**კოსტა რიკა 0:1 მაროკო**
0:1 ბუდენი (52)

**ნიგერია 1:1 პარაგვაი**
0:1 გამარა (20), 1:1 ოკოჩა (83პ)

**სამხრეთ კორეა 0:0 თურქეთი**



ავსტრია — სლოვაკეთი. მასპინძელი ივიცა ვასტიჩი მეტოქეზე მაღლა ახტა

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## D ჯგუფი: ს. კორეა, პოლონეთი, აშშ, პორტუგალია



**ფართობი:** 9 629 091 $კმ^2$
**მოსახლეობა:** 278 000 000
**დედაქალაქი:** ვაშინგტონი
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1913 წელს
ფიფას წევრი 1913 წლიდან
კონკაკაფის წევრი 1961 წლიდან
**ფედერაციის პრეზიდენტი:** რობერტ კონტიგულია
**გენერალური მდივანი:** დანიელ ფლინი
**სტადიონი:** „როუზ ბოული" (104 000)
**მწვრთნელი:** ბრიუს არენა
**კაპიტანი:** კლაუდიო რეინა
**ფორმა:** თეთრი მაისურა, თეთრი ტრუსი, თეთრი გეტრები
**ტიტულიანი კლუბები:** „ნიუ იორკ ნიუ ჯერსი მეტროსტარზი", „ლოს ანჯელეს გალაქსი", „კანზას სიტი ვიზარდისი", „ჩიკაგო ფაიარი", „დალას ბერნი", „კოლორადო რაპიდსი", „კოლუმბუს ქრიუ", „DC იუნაიტედი"
**ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში:** 13




## არის ასეთი ქვეყანა

ამერიკა ძალიან დიდი ქვეყანაა. ყველანაირი თვალსაზრისით. იქ გზები გრძელია და ფართო, თითქმის ისეთივე ფართო როგორც ამერიკული მდინარეები. ამერიკის დიდ ქალაქებში დიდი და მაღალი სახლებია, პატარა ქალაქებში, პატარა და ლამაზი.

ამერიკა იმხელაა, რომ იქ ყველაფერია. იქ ყველაფერი რამდენიმე აქვთ. ვთქვათ, ფეხბურთი — ორია. ამერიკული და ევროპული. ამერიკელებს თავისი ურჩევნიათ, მაგრამ ევროპულსაც თამაშობენ. საერთოდ, ამერიკელები, თუკი რაიმეს სწავლას გადაწყვეტენ, მართლა და ბოლომდე სწავლობენ. ეგებ ეს ნასწავლი განსხვავდებოდეს საფუძვლისგან, მაგრამ სწორად ნასწავლი კია. ასეთივეა ამერიკელების მიერ ნასწავლი ფეხბურთიც. საერთოდ კი, ამერიკა სულაც არ არის „მაკდონალდსი" და სულელური ფილმები. ამერიკა ბევრად მეტია და ეს ჩვენთვის ნაცნობი ამერიკული რამეები იქ ხეირიანად არც ჩანს. აკი მოგახსენეთ, ამერიკა იმხელაა და იმდენია, რომ მისი თავის და ბოლოს პოვნა ძნელია. ამერიკა არ იწყება და არ მთავრდება, თვითმფრინავი იქ ჩვენებური საქალაქო ავტობუსივით მიმოდის, ხალხი კი დედამიწის ზურგზე ყველაზე ჭრელია.

თუ მაინც და მაინც ნიუ იორკი დაგაინტერესებთ, ერთი ჩვენი კოლეგის ნათქვამს მოვიშველიებთ: იქ ცა არი სტაფილოსფერი, მალაზიაში იყიდება სულგუნი, ქუჩაში კი შეგხვდება იტალიელი, მეგრელი და ჩინელი.

ამერიკა ყველა ქვეყნისაა, იქ ყველა ქვეყანაა და იმავდროულად ერთი ქვეყანაა. ამერიკელები მხიარულად მოლაპარაკე ხალხია. თეთრი სახლის წინ სუვენირების ჯიხურები დგას და იქ ოსამა ბინ ლადენის ფოტოთი დამშვენებული ტუალეტის ქაღალდი იყიდება, იქ ბლუზს უბერავენ და კონგრესის ბიბლიოთეკაში ასოცი მილიონი წიგნი აქვთ.

ეს სვეტი კი ძალიან პატარაა იმისთვის, რომ ამერიკა ჩაეტიოს.



# ამერიკელებს არენისა ეეჭვებათ

## დიდ არენას დიდი ტაქტიკოსი სჭირდება

**საამსოფლიოსჩემპიონატო** შესარჩევი ეტაპი ამერიკელებმა მძლავრად დაიწყეს, ისე-რა გააგრძელეს და საკმარისად კარგად დაასრულეს საიმისოდ, რათა კონკაკაფის ურთულესი ზონიდან ფინალურ ეტაპზე გამსვლელი ადგილი მოეპოვებინათ. პირველ შეხვედრაში, ოჰაიოურ კოლუმბუსში რომ გაიმართა, იანკებმა მეზობელ მექსიკელებს 2:0 მოუგეს და დადარაჯებულმა სპეციალისტებმა უმალ ორ მათგანს — კლინტ მეტისსა და ჯოშ უოლფს ჰკიდეს თვალი. მეთისი და უოლფი მომდევნო, ჰონდურასთან სტუმრად და კოსტა რიკასთან შინ მოგებულ შეხვედრებშიც უჩაუქესნი იყვნენ და ნაკრებს კიდევ ბევრ სარგებლობას მოუტანდნენ, ტრავმები რომ არ მიეღოთ. ასეა თუ ისე, აშშ-მ პირველ 5 შეხვედრაში შესაძლებელი 15 ქულიდან 13 მოაგროვა და სერიოზული განაცხადი გააკეთა კორეა-იაპონიაში გამგზავრებაზე.

მაგრამ მეტისისა და უოლფის ტრავმებს მალე კლაუდიო რეინას დაშავებაც მოჰყვა და ამერიკელთა საგოლე პოტენციალიც ერთი-ორად შემცირდა. შედეგად — მომდევნო სამი შეხვედრიდან მათ ვერც ერთის მოგება ვერ შეძლეს, ხოლო ჰონდურასთან სულაც შინ, ვაშინგტონში 2:3 დამარცხდნენ. სხვათა შორის, საკვალიფიკაციო ეტაპზე ეს ამერიკელთა პირველი საშინაო მარცხი გახლდათ უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში.

შემდეგ კი იამაიკასთან 7 ოქტომბერს მოგებული მატჩი იყო. 11 სექტემბრის ტერაქტიდან თვეც არ გასულიყო და ბოსტონისპირა 40-ათასიანი „ფოქსბორო სტედიუმი" გარდაუვალი გამარჯვების მოსურნე ქომაგებს პირთამდე გაევსოთ. თამაში დაძაბული და შუშპარა გამოდგა. მასპინძელთა ადრეგოლს სტუმრებმა პირველი ნახევრის დამლევს შეგდებული გამთანაბრებლით მიუგეს. შეხვედრის ბედი კი ჯო-მაქს მურის მიერ მე-80 წუთზე გატანილმა პენალტიმ გადაწყვიტა. ალგზნებულმა ლიანგმა „გოდ ბლეს ამერიკა" ანუ „ღმერთო, დალოცე ამერიკა" დააგუგუნა და ფეხბურთელებმაც და ქომაგებმაც მერე ერთობლივად შეიტყვეს, რომ იამაიკელთა ძლევა საკმარისი ყოფილა, რათა მათ ზედიზედ მეოთხე მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება მოეხვეჭათ.

ფინალურ ეტაპზე გასვლის მიუხედავად, თავიანთი ნაკრების თამაშით ბოლომდე კმაყოფილი ამერიკაში არავინ დარჩენილა. იქაურ სპეციალისტთა უმთავრესი საკითხავი ახლა ისაა, თუ რა შემადგენლობას წაიყვანს მწვრთნელი ბრიუს არენა კორეა-იაპონიაში.

საქმეში ჩახედული ხალხის აზრით, აშშ-ის ნაკრებს საკმაოდ ნორმალური დაცვა ჰყავს — ჯეფ აგოსი და კარლოს ლამოსა საუცხოოდ თუ არა, რიგიანად მისაჩნევი მცველები არიან. ჯაბანი არც „ბლექბერნის" მეკარე ბრედ ფრიდელს ეთქმის. თუმცა ნაკრების უძლიერეს რგოლებად მაინც ნახევარდაცვა და შეტევა ითვლება — ჯონ ობრაიენის, რეინასა და მეტისის შემოქმედებით გარჯას დიდებულად აგვირგვინებენ უოლფი და ლანდონ დონოვანი.

ფეხბურთელებზე მეტად სპეციალისტებს მწვრთნელის, ბრიუს არენას ტაქტიკური მარაგის სიმწირე აფიქრებთ. ამ კაცს შესარჩევი ეტაპის დროსაც ბევრი მოხვდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ძირითადი მოთამაშეების ტრავმებით შეწუხებულმა ფონს გასვლა უაღრესად მარტივი სქემებითა და მონახაზებით არჩია. არავინ იცის, როგორ გადაწყვეტს იგი, მაგალითისთვის, პორტუგალიელთა წინააღმდეგ თამაშს — სანგრებში ჩაუჯდება თუ სისხლის წილ სისხლისავე დაღვრას ეცდება.

მწვრთნელის სიბრძნე განსაკუთრებით საჭირო იმის გამოც იქნება, რომ ჯგუფში თამაშების რიგი ამერიკელთათვის არცთუ ისე ხელსაყრელია. პორტუგალიელებთან საპირველმატჩო განადგურებამ მათ შეიძლება ისეთი ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენოს, რომ მასპინძლებთან გასამართ მორიგ შეხვედრაში ისინი საერთოდაც მუხლაკანკალებულნი გავიდნენ.

უკეთუ არენა გუნდს შემტევ ფეხბურთს ათამაშებს — თვლიან იქ — მაშინ ჯგუფური ეტაპიდან გასვლა მიუღწეველი ოცნება არ უნდა იყოს. სხვა თუ არაფერი, ამით ისინი მაინც მოკეტავენ, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ამერიკელთა მიერ ჯგუფის ფსკერზე ჩალექვა აქამდე სალადაოდ რომ ჰქონდათო.

„ცხადია, რომ პორტუგალიისთან პირველ მატჩში ძალიან გაგვიჭირდება — ამბობს არენაც — ისინი ხომ მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულს განეკუთვნებიან. მათ წინააღმდეგ ალბათ ქულაც პური იქნება. საჩუქარი არც მასპინძლებთან თამაში უნდა იყოს, პოლონეთმა კი ისეთი შთამბეჭდავი შესარჩევი ეტაპი ჩაითამაშა, რომ სიამოვნებით არც მათთან შეხლას მოველით. მოკლედ, მძიმე ჯგუფი გვექნება. მაგრამ ყველაფერი ჩვენს ხელთაა — თუკი ჩემპიონატამდე დარჩენილ დროს ნაყოფიერად გამოვიყენებთ, ეგებ რამეს მივაღწიოთ კიდეც".

გუშინწინ თქვენ თავად შეგეძლოთ დარწმუნებულიყავით, თუ როგორ გამოიყურება არენას გუნდი. ამერიკელები ბოხუმში, გერმანიის ნაკრებთან სტუმრობდნენ და მასპინძელთა დაცვა დააწიოკეს. თუმცა რაღა გავაგრძელოთ, ეს მატჩი დღევანდელ „სარბიელში" ცალკეა მიმოხილული.



ბრიუს არენა

**ლევან ძელაურაძე**

## ოპტიმალური შემადგენლობა




## განრიგი

**5 ივნისი**
სუვონი (კორეა). 13.30 საათი
„სუვონ ვორლდ ქაფ სტადიუმი"
აშშ – პორტუგალია

**10 ივნისი**
დაეგუ (კორეა). 10.30 საათი
„დაეგუ ვორლდ ქაფ სტადიუმი"
აშშ – ს. კორეა

**14 ივნისი**
დაეხონი (კორეა). 15.30 საათი
„დაეხონ ვორლდ ქაფ სტადიუმი"
აშშ – პოლონეთი

*მატჩების დასაწყისი — თბილისის დროით*

## გზა მსოფლიოსკენ

**I შესარჩევი ეტაპი. III ჯგუფი**

16.07.2000
გვატემალა 1:1 აშშ
23.07.2000
კოსტა რიკა 2:1 აშშ
16.08.2000
აშშ 7:0 ბარბადოსი
03.09.2000
აშშ 1:0 გვატემალა
11.10.2000
აშშ 0:0 კოსტა რიკა
15.11.2000
ბარბადოსი 0:4 აშშ

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 6 | 3 | 2 | 1 | 14:3 | 11 |
| კოსტა რიკა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| გვატემალა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| ბარბადოსი | 6 | 1 | 0 | 5 | 3:20 | 3 |

**II შესარჩევი ეტაპი. ფინალური ჯგუფი**

28.02.2001
აშშ 2:0 მექსიკა
28.03.2001
ჰონდურასი 1:2 აშშ
25.04.2001
აშშ 1:0 კოსტა რიკა
16.06.2001
იამაიკა 0:0 აშშ
20.06.2001
აშშ 2:0 ტრინიდადი
01.07.2001
მექსიკა 1:0 აშშ
01.09.2001
აშშ 2:3 ჰონდურასი
05.09.2001
კოსტა რიკა 2:0 აშშ
07.10.2001
აშშ 2:1 იამაიკა
11.11.2001
ტრინიდადი 0:0 აშშ

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 10 | 7 | 2 | 1 | 17:7 | 23 |
| მექსიკა | 10 | 5 | 2 | 3 | 16:9 | 17 |
| აშშ | 10 | 5 | 2 | 3 | 11:8 | 17 |
| ჰონდურასი | 10 | 4 | 2 | 4 | 17:17 | 14 |
| იამაიკა | 10 | 2 | 2 | 6 | 7:14 | 8 |
| ტრინიდადი | 10 | 1 | 2 | 7 | 5:18 | 5 |

## ტიტულები

მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალისტი (1): 1930
კონკაკაფის ოქროს თასის მფლობელი (1): 1991
ვიცე-ჩემპიონი (1): 1993
კონფედერაციის თასზე მე-3 ადგილი (1): 1993

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გამართული შეხვედრის თარიღი

**სამმაგ ცხრილში**
პირველ, ქვესვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXIX ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 30 მარტი | | | |
| 18.30 | 001 | ჰამბურგი-ბაიერნი | 3.8 | 3,2 | 1,8 |
| 18.30 | 002 | ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 18.30 | 003 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 18.30 | 004 | კოტბუსი-ფრაიბურგი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 18.30 | 005 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 3.4 | 3,2 | 1,95 |
| 18.30 | 006 | მიუნხენი-სტ. პაული | 1,55 | 3.5 | 5,3 |
| 18.30 | 007 | კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | 31 მარტი | | | |
| 20.30 | 008 | კიოლნი-შალკე | 4,0 | 3,4 | 1,7 |
| 20.30 | 009 | ვერდერი-ჰანზა | 1.6 | 3,4 | 5,0 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXIX ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 30 მარტი | | | |
| 18.00 | 014 | ჰანოვერი-შვაინფურტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 015 | ჰანოვერი-შვაინფურტი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 016 | კარლსრუე-ბაბელსბერგი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | | 31 მარტი | | | |
| 18.00 | 017 | ალენი-როიტლინგენი | 1,7 | 3.3 | 4,2 |
| 18.00 | 018 | უნტერჰახინგი-არმინია | 2.7 | 3.0 | 2,4 |
| 18.00 | 019 | ობერჰაუზენი-ვალდჰოფი | 2,0 | 3.2 | 3,3 |
| | | 1 აპრილი | | | |
| 23.15 | 020 | ბოხუმი-აინტრახტი | 1,75 | 3,2 | 4,0 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXVII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 30 მარტი | | | |
| 17.00 | 024 | ბრაუნშვაიგი-ფორტუნა | 1,15 | 5.6 | 10,0 |
| | 025 | ბრაუნშვაიგი-ფორტუნა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 17.00 | 026 | აუე-დრეზდენი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 17.00 | 027 | ვატენშაიდი-ქემნიცი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 17.00 | 030 | ფერლი-ოსნაბრიუკი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 17.00 | 028 | ლევერკუზენი (მ)-ურდინგენი | 2.6 | 3,1 | 2,4 |
| | | 31 მარტი | | | |
| 17.30 | 029 | დიუსელდორფი-მაგდებურგი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXVII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 30 მარტი | | | |
| 17.30 | 035 | ანსბახი-ბურგჰაუზენი | 3,6 | 3,3 | 1,85 |
| 17.30 | 036 | ზიგენი-კიკერსი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.00 | 037 | ოფენბახი-ერფურტი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 18.00 | 038 | ელვერსბერგი-ბაიერნი (მ) | 1.9 | 3,2 | 3,5 |
| 18.00 | 039 | ტრიერი-რეგენსბურგი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 18.00 | 040 | მანჰაიმი-კაიზერსლაუტერნი (მ) | 1.7 | 3,3 | 4,2 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXXII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 29 მარტი | | | |
| 18.00 | 041 | ნიუკასლი-ევერტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | 30 მარტი | | | |
| 16.00 | 042 | ლიდსი-მანჩესტერი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 19.00 | 043 | არსენალი-სანდერლენდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 044 | არსენალი-სანდერლენდი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 19.00 | 045 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 046 | ჩელსი-დერბი | 1,35 | 4,2 | 7,0 |
| | 047 | ჩელსი-დერბი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 048 | ლესტერი-ბლეკბერნი | 2,9 | 3,2 | 2,1 |
| 19.00 | 049 | ლივერპული-ჩარლტონი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 050 | ლივერპული-ჩარლტონი 0:1 | 1.9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 051 | საუთჰემპტონი-ფულემი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 052 | ვესტ ჰემი-იფსვიჩი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 21.35 | 053 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXXXII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 29 მარტი | | | |
| 19.15 | 064 | უოტფორდი-ბრედფორდი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 23.45 | 065 | უიმბლდონი-ქოვენთრი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| | | 30 მარტი | | | |
| 19.00 | 066 | ბირმინგემი-გრიმსბი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 067 | ბირმინგემი-გრიმსბი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 068 | ბარნსლი-ვულვერჰემპტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 069 | ქრიუ-შეფილდი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 070 | სიტი-ნოტინგემი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 071 | სიტი-ნოტინგემი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 072 | მილუოლი-სტოკპორტი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 073 | მილუოლი-სტოკპორტი 0:1 | 1.8 | 3,2 | 2,8 |
| 19.00 | 074 | ნორვიჩი-კრისტალ პალასი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 19.00 | 075 | პრესტონი-პორტსმუთი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 076 | უოლსოლი-ჯილინგემი | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 19.00 | 077 | ვესტ ბრომვიჩი-ბარნსლი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 078 | უიმბლდონი-როტერჰემი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

### ინგლისი. II დივიზიონი XXXXII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 29 მარტი | | | |
| 23.45 | 091 | ნორთჰემპტონი-ბერი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| | | 30 მარტი | | | |
| 19.00 | 092 | ბრენტფორდი-სტოკი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 093 | ბრისტოლი-რედინგი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 094 | ჩესტერფილდი-კარდიფი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 19.00 | 095 | კოლჩესტერი-ბრაიტონი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 19.00 | 096 | ნოტსი-ბორნმუთი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 097 | ოლდემი-კემბრიჯი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 098 | ოლდემი-კემბრიჯი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 099 | პიტერბორო-უიკომბი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 100 | პორტ ვეილი-უიგანი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 101 | სუინდონი-ბლეკპული | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 102 | ტრანმერი-ქუინზ პარკი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 103 | რექსემი-ჰადერსფილდი | 3,5 | 3,2 | 1,9 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XXXXII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 29 მარტი | | | |
| 23.45 | 117 | ჰალიფაქსი-კარლაილი | 2,2 | 3,2 | 2,7 |
| | | 30 მარტი | | | |
| 19.00 | 118 | ექსეტერი-ლინკოლნი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 119 | ჰალი-დარლინგტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 120 | კიდერმინსტერი-საუთენდი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 121 | მაკლსფილდი-იორკი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 122 | მენსფილდი-რაშდენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 123 | ოქსფორდი-ჰარტლპული | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 124 | პლიმუთი-როვერსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 19.00 | 125 | როჩდეილი-ლუტონი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 126 | სკანთორპი-ჩელტენჰემი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 127 | შრუსბერი-ტორკი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 128 | სუონსი-ლეიტონი | 3,5 | 3,2 | 1,9 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი გადადებული მატჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 1 აპრილი | | | |
| 22.00 | 141 | მარსელი-ოსერი | 2,6 | 2,8 | 2,6 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი გადადებული მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 30 მარტი | | | |
| 23.00 | 152 | ნანსი-მარტიგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | | 1 აპრილი | | | |
| 21.00 | 153 | სტრასბური-ისტრი | 1,4 | 3,4 | 7,5 |

### იტალია. სერია „ა". XXIX ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 30 მარტი | | | |
| 18.00 | 154 | ატალანტა-პიაჩენცა | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| 18.00 | 155 | ფიორენტინა-ინტერი | 6,0 | 3,5 | 1,45 |
| 18.00 | 156 | ლეჩე-ვერონა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 18.00 | 157 | მილანი-პარმა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 18.00 | 158 | პერუჯა-კიევო | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 18.00 | 159 | რომა-ბოლონია | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 18.00 | 160 | უდინეზე-ბრეშა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 18.00 | 161 | ვერონა-ტორინო | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.30 | 162 | იუვენტუსი-ლაციო | 1,6 | 3,2 | 5,6 |

### იტალია. სერია „ბ". XXIX ტური

| | | | | | |
| ოლმედო | 6 | 3 | 0 | 3 | 7:7 | 9 |
| ბოლივარი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:13 | 8 |
| ატლეტიკო პარანენსე | 6 | 1 | 2 | 3 | 10:15 | 5 |

„ამერიკა" და „ოლმედო" გავიდნენ მერვედფინალში



იყიდება სასწრაფოდ!
ლაზერული პრინტერი
LASERJET 5000N
ნახმარ მდგომარეობაში
ტელ. 38-11-14, 39-48-29
ფასი შეთანხმებით

*იური სიომინი — ერთ-ერთი გამორჩეული მწვრთნელი ჩვენს სამეზობლოში. მოსკოვის „ლოკომოტივის" თავკაცი, რომელმაც თითქმის არაფრით გამორჩეული რკინიგზული გუნდი ბოლო ხანს ბევრ სიკეთეს აზიარა, ევროპის რჩეულ კლუბთა მარაქაში გარია და ოპონენტებსაც, საკმაოდ რომ ჰყავდა, ხმა ჩააწყვეტინა. სიომინი ის კაცია, ჭირვეულთა შორის ჭირვეული ქართველი თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია ორი-სამი სეზონით რომ მოუთვინიერებია, სათავისოდ გამოუყენებია, მერე ტრანსფერზეც დაუყენებია და ბოლოს ფეხბურთელისთვის თავის გამოჩენის შანსი ერთხელაც მიუცია. მას გუნდში ჯანაშიას გარდა ამჟამად კიდევ ორი ქართველი — გიორგი დემეტრაძე და ლადო კაკაშვილი ჰყავს. ჩვენებური ფეხბურთელების შესაძლებლობები კარგად იცის და მათ სათანადოდაც აფასებს.*

*ადრე თურმე თბილისში ხშირად სტუმრობდა, თუმც ბოლოს აქ თხუთმეტი წლის წინ ყოფილა. თბილისში ბევრი მეგობარი ჰყოლია, არასაფეხბურთო წრეებშიც.*

*გუშინწინ იური სიომინი საქართველო — სამხრეთ აფრიკის ამხანაგურ მატჩს დაესწრო, საღამოს კი სასტუმრო „ძველ მეტეხში" შეგვხვდა და გვიმასპინძლა.*



# თბილისი ჯოჯოხეთია
## სადაც სიომინი და ლოკომოტივი სიამოვნებით ითამაშებენ

**— თბილისში მხოლოდ მატჩზე დასასწრებად ჩამოხვედით თუ სხვა საქმეებიც გქონდათ?**

— საქმე არ არის, დიდი ხნის უნახავ მეგობრებთან შეხვედრა? საბჭოთა კავშირის დაშლის მერე თბილისში არ ვყოფილვარ. ქალაქი ძალიან შეცვლილა, თუმც სითბო უწინდებურად ვიგრძენი. მატჩზე ჩემი დასწრება კი გასაკვირი არ უნდა იყოს. დღეს ხომ „ლოკომოტივის" სამმა ფეხბურთელმა ითამაშა.

**— მერედა კმაყოფილი დარჩით?**

— სამხრეთ აფრიკის დამარცხება, თანაც შესუსტებული შემადგენლობით, სახუმარო როდია. არ წავაგე, თბილისში რომ ჩამოვედი. ვისიამოვნე „ლოკომოტივის" კოხტა სტადიონზე. საქართველოს ნაკრებს წარმატებას ვუსურვებ. აფრიკელებს კარგი გუნდი ჰყავთ და ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, ქართველებმა ასე დამაჯერებლად რომ გაიმარჯვეს. ანგარიში ძალთა თანაფარდობას არ ასახავს. ქართველებს ოთხი კიდევ უნდა გაეტანათ.

**— ოთხი გატანილი გოლიდან ორი „ლოკომოტივის" თავდამსხმელ დემეტრაძისა იყო...**

— ძალიან მომეწონა გიორგი დემეტრაძე. მან ჩინებულად ითამაშა, ორი ხომ გაიტანა და ორშიც წილი დაიდო. ეს კი ნიშნავს, რომ დემეტრაძე „ლოკომოტივს" კარგად მოუმზადებია. ის ძალიან აგრესიული ფორვარდია და თუ თამაში წაუვიდა, მეტოქეს პრობლემას არ დააკლებს. ნაღდი თავდამსხმელია, ნიჭიერი. როცა დემეტრაძე „ალანიაში" თამაშობდა, დაცვას ნაკლებ ყურადღებას უთმობდა და ეს ნაკლად ეთვლებოდა. ახლა კი ფიზიკურად კიდევ უფრო მოღონიერდა და შავ სამუშაოსაც არ თაკილობს.

**— მოდით, ახლა „ლოკომოტივის" დანარჩენ ქართველებზე გვითხარით. ჯანაშია ტრანსფერზე დააყენეთ, სეზონის წინ კი გუნდის განაცხადში მაინც შეიყვანეთ.**

— მას კიდევ ერთი შანსი მივეცით იმისა, რომ „ლოკომოტივში" ძველებურად ითამაშოს. ის დღესდღეობით მონდომებით ვარჯიშობს და ვნახოთ, თუ დაიმსახურებს, შემადგენლობაშიც გამოჩნდება. ჯანაშიამ ბოლო დროს მოუკლო. მისი კონკურენტები უკეთ იყვნენ მომზადებულნი და ამიტომაც არ ვათამაშებდი. ისე კი, ნამდვილად ნიჭიერი ფეხბურთელია, ეგ არის, თავისებური ხასიათი აქვს.

**— როგორი? საინტერესოა იმ მწვრთნელის აზრი, რომელმაც მას ფეხბურთი ათამაშა.**

— თქვენ ეს ჩემზე კარგად არ იცით? ზარმაცობს, დავალებას ბოლომდე არ ასრულებს. ამით თავს ავნებს. მას კიდევ შეუძლია, დიდი ფეხბურთი ითამაშოს.

**— ლადო კაკაშვილს?**

— ჯერჯერობით ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. „ლოკომოტივში" დღესდღეობით შვიდი ისეთი მცველია, რომლებთან კონკურენციაც უჭირს, თუმც ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს. კაკაშვილი ახალგაზრდაა და ყველაფერი წინ აქვს, თუ ასევე გააგრძელა, მალე „ლოკომოტივის" ძირითადშიც ითამაშებს.

**— უკვე ორი მატჩია, გიორგი დემეტრაძეს ძირითად შემადგენლობაში არ უთამაშია. „სოსიედადიდან" სათადარიგო ფორვარდად ინათხოვრეთ?**

— არა, რატომ? ტაქტიკური მოსაზრებების გამო არ ვათამაშე თავიდან.

**— პიმენოვი „ლოკომოტივის" საუკეთესო ფორვარდად ითვლება?**

— პიმენოვი, ობიორა და დემეტრაძე თითქმის ერთი დონის თავდამსხმელები არიან. მათგან ვერც ერთს გამოვარჩევ. ვინც დაიმსახურებს, ის ითამაშებს, ჩემთვის ეს სულ ერთია. თუ რომელიმემ მატჩი ჩააგდო და კონკურენტს ჩამორჩა, მერე დასვენება მოუწევს. მათ გარდა კი მეოთხე სრულფასოვანი ფორვარდიც გვყავს — ბუზნიკინი, თუმც ის ახლა ტრავმირებულია. გამოჯანმრთელდება და თავდასხმაში კიდევ მეტი კონკურენცია იქნება.

**— „ლოკომოტივის" ჩემპიონობის დრო აღარ დადგა?**

— დადგა, როგორ არა. მგონია, რომ „სპარტაკზე" უკეთესი გუნდი „ლოკომოტივს" შარშანაც ჰყავდა და ვიმსახურებდით კიდეც ჩემპიონობას, თუმც გარკვეული მიზეზების გამო ეს ვერ მოვახერხეთ.

**— მიზეზები რა იყო?**

— საკუთარი სტადიონი და ბაზა არ გვქონდა. ხან სად ვვარჯიშობდით და ვთამაშობდით, ხან სად. ყოველ კვირას სასტუმროს ვიცვლიდით, კარდაკარ დავდიოდით. ახლა კი ბაზაც ავაშენეთ. ახალი სტადიონიც დღე-დღეზე გაიხსნება და ჩემპიონის საკადრისი ყველა პირობა გვექნება. ბაზა, სტადიონი, მყარი ფინანსური მდგომარეობა... ფეხბურთელებს ჩემპიონობისთვის სტიმული აქვთ.

**— კი მაგრამ, საჩემპიონო ბრძოლაში ერთი გუნდიც დაგემატათ...**

— ცესკა?

**— დიახ.**

— გეთანხმებით. საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია. არმიელებს კარგი, მცოდნე მწვრთნელიც ჰყავთ და ფინანსურადაც უზრუნველყოფილნი არიან.

**— დიდი სხვაობაა ქართულ და რუსულ ფეხბურთს შორის?**

— საქართველოში ძალიან კარგი ფეხბურთელები არიან და ძლიერ ევროპულ კლუბებშიც თამაშობენ, მაგრამ ჩემპიონატი დაბალი დონისაა. რუსული კლუბები გაცილებით მდიდრები არიან და ეს ჩემპიონატსაც ეტყობა. ალბათ, არ შემეკამათებით, თუ ვიტყვი, რომ დღესდღეობით რუსეთში უკეთესი ფეხბურთია, თუმც ჩვენთან ქართველებიც მრავლად თამაშობენ.

**— თბილისელ თანაკლუბელებთან ურთიერთობა თუ გაქვთ?**

— საკმაოდ კარგი. საქართველოს რკინიგზის შეფმა აკაკი ჩხაიძემ რამდენჯერმე მოგვიწვია კიდეც ამხანაგური მატჩის გასამართად, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვერ მოვახერხეთ. ისე კი ყოფილ საბჭოთა კავშირში, მგონი, მხოლოდ, რკინიგზელებმა მოახერხეს საკუთარი სტადიონების აშენება. თანაც სტადიონსაც ხომ გააჩნია. დეკემბერში მოსკოვში თამაში თითქმის შეუძლებელია და ჩემპიონთა ლიგის მატჩებს, ალბათ, თბილისში გავმართავთ. სათადარიგო სტადიონი სწორედ აქ გვეგულება. ქართველთა ქომაგობის იმედი გვაქვს.

**— რუსეთის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელს საქართველო — რუსეთის მომავალ დაპირისპირებაზე არ ჰკითხო, არ იქნება...**

— ორივე გუნდისთვის ურთულესი მატჩი იქნება. საქართველოს ნაკრებს ინდივიდუალურად უფრო ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს, ჩვენებს კი გუნდური თამაში ქართველებზე უკეთ გამოსდით. საქართველოს ბევრი ლეგიონერი ჰყავს და ნაკრების წევრთა უმრავლესობა სწორედ ესენი არიან. რუსეთის ნაკრებში შინაურ ჩემპიონატში მოთამაშენი სჭარბობენ, მწვრთნელისთვისაც უფრო იოლია მათი შესაძლებლობების განსაზღვრა.

**— შესარჩევი ჯგუფის ფავორიტად რომელი გუნდი მიგაჩნიათ?**

— რუსეთი, თუმც ირლანდიასა და საქართველოსაც აქვს პირველობის შანსი. წარმომიდგენია, თბილისში ჩვენებს რა ჯოჯოხეთი ელით. ძველ დროს ხომ თბილისი თავისი ქომაგობით გამოირჩეოდა.

**კობა ინასარიძე**

# აზერბაიჯანი დღეში ერთხელ

**დღეს** „ეროვნულზე" პირველად გამოიცდება სერგო კუტივაძის 17-წლამდელთა ნაკრები. ახალშეკრებილ ქართველებს მეტოქედ მეგობარი აზერბაიჯანელი თანატოლები ეყოლებათ. სტუმართა 24-კაციანი დელეგაცია გუშინ შუადღეს ეწვია თბილისს და დიდუბეში, სასტუმრო „შევარდენში" დაბინავდა.

სერგო კუტივაძის განკარგულებაში ოცდაათამდე [illegible] ფეხბურთელია, რომელთაგან ძირითადი ბირთვს მწვრთნელები აზერბაიჯანელებთან დღევანდელი და ხვალინდელი თამაშების შემდეგ შეარჩევენ.

დღევანდელი მატჩი „ეროვნულზე" 15 საათზე დაიწყება, ხოლო ხვალ მეტოქეებს „შევარდენზე" 13 საათზე ელიან.

**დათო დანელია**

# რაზე ვთამაშობთ, ვიცით?

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ამ შესარჩევ ციკლში მესამედ ეცდება ფონს გასვლას და, შესაბამისად, ათენის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვებას.

გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მეთაურობასთან ფეხბურთის ფედერაციისა და ეროვნული ნაკრების თავკაცები შეიკრიბნენ. როგორც სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა თქვა, საქართველოს სპორტის სათამაშო სახეობებიდან ათენში გამოსვლის ყველაზე მეტი შანსი სწორედ ფეხბურთელებს აქვთ. — ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, რათა ჩვენმა ფეხბურთელებმა ოლიმპიური ლიცენზიები მოიპოვონ. ახლა სერიოზული წინაპირობაა იმისა, რომ ბოლოსდაბოლოს ჩამოყალიბდეს ოლიმპიური ფონდი, რაც ჩვენს ოლიმპიელ ფეხბურთელებსაც დაეხმარებაო.

სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა სტუმრებს ისიც აცნობა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი საქართველოს ერთ-ერთი სათამაშო სახეობისთვის საოლიმპიადოდ გრანტს პირდება. ამგვარ სახეობად ფეხბურთი გვესახება და იმ შემთხვევაში, თუ დავასაბუთებთ, რომ ფეხბურთში ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება რეალურად შეგვიძლია, გრანტს მივიღებთ.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ალექსანდრე ჩივაძის აზრით, თუ ჩვენს ახალგაზრდულ გუნდს, რომელსაც ვახტანგ კოპალეიშვილი თავკაცობს, ხშირად ჩავუტარებთ შეკრებას, მიზანს მიაღწევს.

— საქართველოში შესაბამისი ასაკის ბევრი კარგი, პერსპექტიული ფეხბურთელია — ამბობს ალექსანდრე ჩივაძე — საჭიროა მათთან სელექციური მუშაობა, რაც ისეთ ფეხბურთელებს შეგვარჩევინებს, რომლებიც არავისზე ნაკლებნი იქნებიან. მაგალითად, ასეთია თბილისის დინამოელი ამისულაშვილი, რომელმაც სამხრეთაფრიკელებთან თამაშისას თავი გამოიჩინა.

ჩივაძემ ახალგაზრდულ ნაკრებს სასელექციო მუშაობაში დახმარება და მხარში დგომა აღუთქვა.

შემდგომ ახალგაზრდული ნაკრების პერსპექტივებსა და პრობლემებზე ისაუბრეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ და გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ. ერთი რამ ცოტა უცნაურად გვეჩვენა: ჟორდანიას თქმით, ჩვენმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა არც კი იციან, რომ ამ შესარჩევ ციკლში ბრძოლას ოლიმპიური ლიცენზიების მოსაპოვებლადაც იწყებენო...

**ავთანდილ ბუყიშელი**

# დინამოს ბორჯომი გააგრილებს

**ევროპულ რელსებზე** შემდგარი თბილისის „დინამო" პარტნიორთა ძიებაშია. კლუბის ხელმძღვანელთა მონდომებას უკვე მოჰყვა შედეგი. დღედღეზე „დინამო" ხელშეკრულებას გააფორმებს „ბორჯომთან". კლუბის უსაფრთხოების ოფიცერ გია ისიანის თქმით, „ბორჯომთან" მოლაპარაკებები დასრულებულია და კონტრაქტის გაფორმებას წინ არაფერი უდგას.

ხელშეკრულების მთავარი პირობები ჯერჯერობით უცნობია, ვიცით მხოლოდ ის, რომ „ეროვნულზე" „ბორჯომის" სარეკლამო დაფები გაჩნდება, აგრეთვე ისიც, რომ „დინამოს" საშინაო თამაშებზე მისული ჟურნალისტები გამაგრილებელი სასმელის კომპანიაში ჩაარაკრაკებენ მატჩს. ისე, ურიგო არ იქნება, ამ წარმატებულ გარიგებას ათგზის ჩემპიონები „მაკდონალდსთან" კონტრაქტს თუ მოაყოლებენ — მოუხდებოდა „ბორჯომს" „ბიგ-მაკი".

გია ისიანის თქმით, მოლაპარაკებები დაწყებულია სხვა ცნობილ ფირმებთანაც და შესაძლოა, მალე „დინამოს" პარტნიორთა შორის რამდენიმე სოლიდურმა ჯგუფმა მოიყაროს თავი.

**ბაატა ძვანტალიანი**

# გლადბახი ლონდონში ჩადის
## ქართველი ალექსიძე ალბიონზეც უნდა ვნახოთ

**ვერა და ვერ** რომ მოიკიდა ფეხი რატი ალექსიძემ ლონდონის „ჩელსის" პირველ გუნდში, არახალი ამბავია. თუმც მას შემდეგ, რაც ჩვენს ეროვნულ გუნდს სათავეში ხელმეორედ ჩაუდგა ალექსანდრე ჩივაძე, ჩელსელ ქართველს ნაკრებში სისტემატურად იძახებენ.

ალექსიძით ამ ცოტა ხნის წინ ბუნდესლიგური „ნიურნბერგი" რომ დაინტერესდა და მერე თავი შეიკავა გარიგებისგან, ესეც გემახსოვრებათ. არადა, რატი უკვე ისეთ ასაკშია, მისი უთამაშებლობა ერთი საცოდაობაა, თუმც ალექსიძის მენეჯერი ჯერ ვერაფერს ახერხებს.

ქართველი აგენტის რევაზ არველაძის შემწეობით კი ახლა ალექსიძეს მორიგი ბუნდესლიგური შანსი მიეცემა. სამხრეთაფრიკელთა კარში გოლის გამტანი ქართველის კიდევ ერთხელ სანახავად „მიონხენგლადბახის" წარმომადგენლები აპრილის შუა რიცხვებში საგანგებოდ ჩავლენ ლონდონში. გლადბახელი ემისრები, ცხადია, ინგლისის რეზერვისტთა ლიგის იმ მატჩებს დაესწრებიან, რომლებშიც „ჩელსი" და ალექსიძე ითამაშებენ.



რატი ალექსიძე

**დავით თაგართქილაძე**

# ცაკი და შაკი

## ბერძენი ზორბას შაკიკია

## ქართულ მიწაზე ფეხადგმულებმა პლეი ოფისკენ ვერ გაიბიჯეს



AP ფოტოქრონიკა

ფინიქსი — ლეიკერსი. სოხუმელი ფინიქსელი იაკოვოს ცაკალიდისი მეტოქეთა რისხვად იქცა

27 მარტი

**ტორონტო 81:80 მაიამი**

**ტორონტო:** ა. უილიამსი (13), პეტერსონი (21), ჯ. უილიამსი (18 ქულა, 10 მოხსნა), დევისი (19 ქულა, 10 მოხსნა), მონტროსი (6); კლერკი (4), ოლაჯუონი, ჩაილდსი

**მაიამი:** სტრიკლენდი (24), ჯონსი (2), ჯეკსონი (9), გრანტი (15 ქულა, 10 მოხსნა), მურნინგი (17 ქულა, 14 მოხსნა); ელისი (7), ჰაუსი (4), სტეფანია (9 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა), ბეტლინგი, გილი

„მაიამი ჰითს" ბოლო ხავსიც გამოეცალა. პატ რაილის შეგირდთა ანთებულ გულებს და იქ ჯერაც მბჟუტავ იმედის ნაპერწკალს ცივი წყალი გადაასხა აქამდე ბევრი ვერაფრით თავგამოჩენილმა ტორონტოელმა ღლაპმა მორის პეტერსონმა. ამ ჯეილის აკანკალებული ხელიდან მატჩის დამთავრებამდე რვა წამით ადრე ალალბედზე ნასროლმა და ჩავარდნილმა ბურთმა „მაიამი" ზედიზედ მეოთხე მარცხით დატვირთა და ეს გუნდი ბოლო შვიდ წელიწადში პირველად გამოასალმა პლეი ოფს. რაც შეეხება „ჰითის" მწვრთნელ პატ რაილის, ის შვიდ წელიწადში კი არა, ცხოვრებაში პირველად მოილევს სეზონს ასე უსახელოდ.

საპლეიოფო გიჟურ სრბოლაში მოწინავე რვეულს „მაიამიზე" არანაკლები მანძილით ჩამორჩენილ „ტორონტოსაც" ჰაერის ფასად ულირს ყოველი მოგება, ასე რომ, 27 მარტის გამარჯვებაში ლომის წილის დამდები პეტერსონი ელიტარული კალათბურთის ეულ კანადურ ქალაქში დიდ პატივში აღმოჩნდა.

„ეს იყო ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი თამაში და უმნიშვნელოვანესი სროლა. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ დროს ყველაფერი გავაკეთე, რაც მსურდა". — ნამატჩევს ორიოდ სიტყვა ძლივს ამოუთქვამს ნაჯაფარ და სიხარულით მთვრალ პეტერსონს. ეს ყმაწვილი ყველამ შეაქო, ვისაც არ დაეზარა და იმსახურებდა კიდეც.

ტორონტოელთ მუხლის ტრავმის გადამკიდე მფრინავი ლიდერი ვინს კარტერი აკლდათ და, ალბათ, სეზონსაც უმისოდ მოილევენ. პატერსონმა ავად თუ კარგად უმისობაში გაჩენილი სივრცე შეავსო. მართალია, სასწაული ბურთები არ უტენია, მაგრამ 21 ქულა მოიხვეჭა და დაცვაში კიდევ უკეთ გაისარჯა, „მაიამის" პირველმეჭულე ედი ჯონსის მხოლოდ ორი საამმატჩო ქულა მის სინდისზეა. სხვათა შორის, „ჰითის" ბოლოდროინდელ ჩავარდნაში ლომის წილი სწორედ ედი ჯონსს და მის უნიათობას უდევს.

სხვებთან ერთად იმედგაცრუება შეხვდა „მაიამის" ქართველ ცენტრ ვოვა სტეფანიასაც, თუმც, ვფიქრობთ, ის რაილიზე, ჯონსზე, მურნინგსა და სხვებზე უმტკივნეულოდ შეეგუება უპლეიოფობას, რადგან გუნდის წარუმატებლობა ნაკლებადაა ვოვას ბრალი. თან მას ხომ ცხოვრებაში არ უთამაშია ნბაურ პლეი ოფში.

**პორტლენდი 98:93 სან ანტონიო**

**პორტლენდი:** ველსი (24), დევისი (19)

**სან ანტონიო:** დანკანი (34 ქულა, 11 მოხსნა), პარკერი (15), რობინსონი (14)

**ფილადელფია 80:88 ნიუ ჯერსი**

**ფილადელფია:** სნოუ (21), კოულმენი (13)

**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (20), კიდი (14 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა)

**შარლოტი 111:104 ორლანდო**

**შარლოტი:** მაშბურნი (21), მაშბურნი (20 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), ბრაუნი (18), დევისი (15 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა)

**ორლანდო:** მაკგრეიდი (25 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი, 5 ჩაჭრა), ჰადსონი (25), გარიტი (18), გრანტი (17)

**ფინიქსი 118:106 ლეიკერსი**

**ფინიქსი:** მარიონი (32 ქულა, 18 მოხსნა), მარბერი (26 ქულა, 11 პასი), ცაკალიდისი (19 ქულა, 9 მოხსნა)

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (36), ონილი (24 ქულა, 11 მოხსნა), ჰორი (18)

**დეტროიტი 82:89 ნიუ იორკი**

**დეტროიტი:** სტაკჰაუზი (18), ეტკინსი (18), ვოლესი (12 ქულა, 20 მოხსნა, 8 დაფარება)

**ნიუ იორკი:** ჰოსტელი (20), ტომასი (18), სპრიუელი (17)

**სიეტლი 96:82 მემფისი**

**სიეტლი:** პეიტონი (32), ბერი (17)

**მემფისი:** უილიამსი (26)

**ჰიუსტონი 102:99 გოლდენ სტეიტი**

**ჰიუსტონი:** პირსი (33 ქულა, 10 მოხსნა), უოლკერი (22)

**გოლდენ სტეიტი:** ფორტსონი (20 ქულა, 13 მოხსნა), რიჩარდსონი (18)

პლეი ოფს რეგულარულ სეზონშივე დაემშვიდობება ქართულ მიწაზე ფეხადგმული, კიდევ ერთი ნბა-ელი, იაკოვოს ცაკალიდისი. ბალღობაში სოხუმში მობურთალ და ამ ორი წლის წინ ნბა-ში წინაპართა საბერძნეთიდან გადაბარგებულ იაკოვოსს წესით სეზონის ამგვარი დასასრული სტეფანიაზე ნაკლებ დასწყვეტს გულს, რადგან ეს დღეებია, „ფინიქსის" ერთ-ერთ ლიდერად ქცეულა და უპლეიოფობას რეგულარულში გულიანი ბურთაობით შეივსებს.

მეორე დღეა, ცაკალიდისი „ფინიქსის" მეტოქეთა ფარებს აპარტახებს და გუშინწინ ამ 218-სანტიმეტრიან კნაჭა ბერძენს თვით ლიგის ყველაზე ტანზორბა ცენტრი შაკილ ონილი შემოემარცხა. მართალია, იაკოვოსმა შაკზე ნაკლები ქულა-მოხსნები მიითვალა, მაგრამ ამ დევის წინააღმდეგ 19 ქულის მოხვეჭა და ონილის 24 ქულით შემოფარგვლა რომ საბოლოოდ გამარჯვებას ნიშნავს, ეს ცაკალიდისმაც კარგად უწყის და სპორტის ამ სახეობის თუნდაც სამიანზე მცოდნე ყველა ადამიანმაც.

„ლეიკერსი დიდი გუნდია. ის იგებს პლეი ოფებს, შაკილი კი მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელია. ამდენად ათმაგად სასიხარულოა მათი დამარცხება" — თქვა იაკოვოსმა ნამატჩევს.

„თამაში ჯეკმა (ასე ეძახიან მას ამერიკელები) მოგვაგებინა. მართალია, მე და შონ მარიონმა მეტი ჩავყარეთ, მაგრამ ეს გამარჯვება ჯეკის დამსახურებაა და მას ეკუთვნის. ყველას გვიხარია, რომ ჩვენს გვერდით ასეთი ბიჭი თამაშობს" — წოწოლა თანაგუნდელი აქო და აქო „ფინიქსის" გამთამაშებელმა სტივენ მარბერიმ.

უხეირო „ფინიქსთან" მარცხმა ჩემპიონთაგან ყველაზე მეტად გააცეცხლა იმ მატჩში 32 ქულის ამაოდ მომხვეჭი კობი ბრაიანტი. ნამატჩევს კობი მსაჯებს მისდგა, აქაოდა, შეტევაში ჯარიმებით აგვავსეს, შაკს ხომ ლამის ყოველ მეორე შეტევაში აჯარიმებდნენო. „შაკი დიდი სხეულია და, ბუნებრივია, ცდილობს სხვებთან ამ უპირატესობის გამოყენებას, მაგრამ ეგ ოხრები გასაქანს არ აძლევენ. შაკმა უნდა იჯაჯგუროს. აბა, 150-კილოგრამიანი ხელ-ფეხით გარღვევებზე ხომ არ ირბენს?!" ცხარობდა ნამატჩევს ბრაიანტი. მერე, ცოტა რომ დაშოშმინდა, თქვა, ეს მარცხი ჩვენთვის არც არაფერს ნიშნავს, ჩვენ მაინც გავჩემპიონდებით და ყველას ამით გავცემთ პასუხსო.

შაკილ ონილთან და კობი ბრაიანტთან ერთად 27 მარტმა უიღბლოდ ჩაიარა კიდევ ერთი სეზონის პოტენციური უძვირფასესი მოთამაშისთვის. სანანტონიოელი ტიმ დანკანი თანაგუნდელებთან ერთად პირველივე წუთებიდან აწყობდა [illegible] ებს და მატჩის პირველ [illegible] 24 წუთში 24 ქულა შეაგროვა. სტუმართა საწყის [illegible] დანკანი [illegible] შვრა. მართალია, „პორტლენდს" პირველივე მეოთხედში დაუშავდა ლიდერი და დანკანის პოტენციური შემჩერებელი რაშიდ ვოლესი, მაგრამ მასპინძლებმა მეორე ტაიმში მაინც მოახერხეს ახმახი სტუმრის თამაშის რიტმიდან ამოგდება. საბოლოოდ გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ, „სან ანტონიომ" კი, სხვათა შორის შევნიშნოთ, ზედიზედ 13 გამარჯვების შემდეგ პირველად წააგო.

ფილადელფიაში იქაურმა „სიქსერზმა", წინა სეზონის უყოჩაღესმა აღმოსავლელმა, პრინციპული მატჩი დაუთმო წლეულს ყველაზე უხვმოგებიან აღმოსავლელ „ნიუ ჯერსის". ეს შედეგი არც ვინმეს გაჰკვირვებია. წლეულს „ფილადელფია" მხოლოდ საშუალოა, ხოლო ლიდერ ალენ აივერსონის გარეშე საშუალოც ვერაა.

აღმოსავლელთა დამფეთებელმა „შარლოტმა" ერთხელაც, უკვე ზედიზედ მეშვიდედ მოიგო და მეპლეიოფეთა შორის, ალბათ, საბოლოოდ ჩაიწერა თავი, ხოლო პლეი ოფის კარგა ხნის წინ გამომტირებელმა „ნიუ იორკმა" ცრემლები გუშინწინ მოიწმინდა და ლიდერ ალან ჰიუსტონის არყოფნის მიუხედავად, „დეტროიტს" დაამცხრა.

**ირაკლი ფირცხვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| *ნიუ ჯერსი* | 46 | 26 | 63,9 |
| დეტროიტი | 42 | 29 | 59,2 |
| ბოსტონი | 41 | 31 | 56,9 |
| მილუოკი | 37 | 32 | 53,6 |
| ორლანდო | 38 | 33 | 53,5 |
| ფილადელფია | 37 | 33 | 52,9 |
| შარლოტი | 37 | 33 | 52,9 |
| ინდიანა | 35 | 35 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 33 | 38 | 46,5 |
| ტორონტო | 33 | 38 | 46,5 |
| მაიამი | 31 | 39 | 44,3 |
| ატლანტა | 29 | 41 | 41,4 |
| ნიუ იორკი | 27 | 43 | 38,6 |
| კლივლენდი | 25 | 46 | 35,2 |
| ჩიკაგო | 17 | 54 | 23,9 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| *საკრამენტო* | 50 | 19 | 72,5 |
| *ლეიკერსი* | 50 | 21 | 70,4 |
| *დალასი* | 49 | 21 | 70,0 |
| *სან ანტონიო* | 49 | 22 | 69,0 |
| პორტლენდი | 44 | 27 | 62,0 |
| მინესოტა | 42 | 28 | 60,0 |
| სიეტლი | 41 | 31 | 56,9 |
| იუტა | 39 | 32 | 54,9 |
| კლიპერსი | 36 | 36 | 50,0 |
| ფინიქსი | 33 | 38 | 46,5 |
| ჰიუსტონი | 26 | 44 | 37,1 |
| დენვერი | 21 | 48 | 30,4 |
| გოლდენ სტეიტი | 18 | 53 | 25,4 |
| მემფისი | 18 | 53 | 25,4 |

დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები

# რა-ა?!

## კოლინზმა ქვეყანა შეყარა: ჯორდანი პენსიაზე გაუშვა

**მღელვარე** დღეები უდგას სრულიად ამერიკელ ერს, ხალხი დედაქალაქ ვაშინგტონიდან წამოსულ ცუდ ამბებს აუფორიაქებია. ქვეყნის პრეზიდენტი, უმცროსი ჯორჯ ბუში, ღვთის მადლით, ჯანმრთელადაა და, მგონი, არც შეერთებული შტატების უშიშროებას ემუქრება საფრთხე. ხალხი წუხს იმ კაცის ბედის გამო, რომელიც პრეზიდენტზე და ვინძლო სენატორ-მინისტრთა სრულ კრებულზე მეტად სათაყვანებელია. ამ კაცს მაიკლ ჯორდანი ჰქვია და ის „ვაშინგტონ ვიზარდსის" საკეთილდღეოდ ტანჯავს თავის 39 წლის სხეულს.

თითქოს 27 თებერვალს გაკეთებული მუხლის ოპერაცია და 12 მატჩის გამოტოვება არ ეყოფოდათ, ჯორდანის ქომაგებმა ახალი გულდამთუთქავი ამბავი გაიგეს. „ვაშინგტონი" პლეი ოფში რომ ვერ ხვდება, ეს ძველი ამბავია, ახალი კი ჯორდანის და მის გარშემო მობურთალთა მწვრთნელის, დუგ კოლინზისგან მოდის.

„ძალიან გამიკვირდება, თუ მაიკლს მომავალ სეზონშიც ვიხილავ მოედანზე. მე არ ვამტკიცებ, რომ ის აუცილებლად დაანებებს კალათბურთს თავს ამ სეზონის შემდეგ, მაგრამ ეს მოსალოდნელია. არც იმას ვამბობ, რომ მაიკლს კვლავ მობეზრდა კალათბურთი, ის ახლაც ბავშვივით მოწადინებული შედის მოედანზე და, როგორც ყოველთვის, თავს ბოლომდე დახარჯვას აძლებს, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მას ძველებურად იდეალურად აღარ უმუშავებს სხეული. მაიკლმა საკმაოდ რთული ოპერაცია გადაიტანა, ის 39 წლისაა და არც იმის გარანტია არსებობს, რომ მუხლის ტკივილი აღარ შეახსენებს თავს. მას უჭირს ახალგაზრდებთან თამაში. გონებრივად იგი კვლავ უძლიერესია, უფრო მეტიც, ვფიქრობ, საკალათბურთო აზროვნებით ძველ მაიკლს ბევრად აღემატება. მაიკლმა აჯობა ყველას, მაგრამ ის ვერ აჯობებს დროს" — ამ რამდენიმე დღის წინ ტელეარხ იესპიენს განუცხადა დუგ კოლინზმა, თან დასძინა, რაც ვთქვი, ეს ჩემი მოსაზრება და პროგნოზია და ნუ იფიქრებთ, მაიკლს ამის თაობაზე ჩემთვის რაიმე ეთქვასო.

კოლინზმა ესენი თავისი ინიციატივით ილაპარაკა, ხალხს კი თავისი დაემართა. ჭმუნავენ თვით „ვაშინგტონის" მოწინააღმდეგეთა ქომაგები, მათზე მეტად კი ნბა-ში ჩაწერილ კლუბთა დარბაზის მეპატრონენი და სხვა ფულის მხვეტნი. უჯორდანობა ხომ მილიონობით დოლარის ზარალს ნიშნავს. „ვაშინგტონთან" თამაშისას ხომ იმ გუნდების დარბაზებიც იჭედებოდა, რომლებიც პრინციპულ მატჩებშიც კი ვერ ავსებენ ტრიბუნებს.

თავად ჯორდანს არც კოლინზისთვის და, როგორც ცნობილია, არც არავისთვის გადაუკრავს სიტყვა კალათბურთიდან მისი მორიგი წასვლის თაობაზე. მატჩისშემდგომ ზოგად კომენტარებში ის ამბობს ხოლმე, რომ მისი და „ვაშინგტონის" მიზანი „ინდიანას" მერვე აღმოსავლური ადგილიდან ამოგდება და პლეი ოფში თამაშია. ამ საქმეში მას ახალნაოპერაციევი მუხლი უშლის ხელს.

**ირაკლი ფირცხვილი**



დუგ კოლინზი უჯორდანობისთვის გამზადებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი კორტზე

## მაიამიში ჩოგანს მხოლოდ მაიამელი გოგონები აქნევენ



REUTERS კი ბისკეინიდან

მარსელო რიოსი



REUTERS კი ბისკეინიდან

რა უმწეო იყო მარტინა ჰინგისი სერენა უილიამსთან...

**კი ბისკეინი. ჰარდი.**
**ქალები. საპრიზო 2,860 მილიონი $**

**მეოთხედფინალი**

**ჯენიფერ კაპრიატი (1, აშშ) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:2, 6:0; სერენა უილიამსი (8, აშშ) — მარტინა ჰინგისი (3, შვეიცარია) 6:4, 6:0; მონიკა სელეში (5, აშშ) — კიმ კლაისტერსი (ბელგია) 4:6, 6:3, 6:3**

კიბისკეინური ტურნირი ოტროველა ამერიკელმა გოგონებმა თავიანთ შიდაეროვნულ გართობად გადააქციეს. მეოთხედფინალურ შეხვედრებში მათ ქერათმიან ევრომეტოქეებს საკმაოდ ნათლად განემარტათ, რომ — სავესტერნო კლასიკის ერთ ფრთიან გამოთქმას თუ მოვაპერიფრაზებთ — მაიამიში ჩოგანი მხოლოდ მაიამელებმა უნდა აქნიონ!

ატლანტიკისგამოღმელთა ინტერესები ვერც ცუგრუმელა მარტინა ჰინგისმა დაიცვა — მან ვერაფერი გააწყო ალისფერ სარაფანში გამოშხვართული სერენა უილიამსის წინაალმდეგ, რომელიც კორტზე გაშმაგებული ალივით დაჰქროდა და შვეიცარიელის წილ კორტს უმძლავრესი ხელწალმა-უკულმებით აოხრებდა. შედეგად — მარტას ოდენ 4 მომგებიანი ბურთის სანაცვლოდ სერენამ დასტურ 35 (!) მომგებიანი ჩააბრახუნა და მასთან ნათამაშებ მე-13 მატჩში მე-7 გამარჯვება 59 წუთში მიითვალა.

ეგეთი უმწეო ჰინგისი ვინძლო კარგა ხანია არ გვენახოთ. ხოლო მისი ნამატჩევი განცხადება, აქაოდა, მატჩის მსვლელობისას მარჯვენა ფეხის მყესი დამზიანებოდაო, სამარცხვინო მარცხის რამენაირად გამართლების მცდელობა უფრო იყო, ვიდრე რეალობის კონსტატირება.

თუმცა ამ მიკროტრავმის გამო ჰინგისმა წყვილთა შეჯიბრის მიტოვებაც არჩია, სადაც თავის მეჯუფთე ანა კურნიკოვასთან ერთად უკვე მეოთხედფინალამდეც მისულიყო და იქ რუს ელენა დემენტიევასა და სლოვაკ ჟანეტ ჰუსაროვას წყვილს უნდა შეხლოდა... ჰინგისი ახლა კარგად დასვენებასა და სათიხნარე სეზონის გახსნისთვის მომზადებას აპირებს. ტანად-ჯანადი მეტოქეებისთვის სამაგიეროს მიზღვას იგი სწორედ შედარებით ნელსაფრიან კორტებზე ეცდება.

მანამდე კი მასაც და ჩვენც სწორედ მისი დიდრონი მეტოქეების ძალუმი და შლეგი თამაშით ტკბობა მოგვიწევს. ამათგან გამორჩევით თვალსასეირო შავდათა, ვინუს და სერენა უილიამსების შიდაოჯახური დაგნარი იქნება.

„ორივე მაგრად ვემზადებით და მტრისას, იქ ამბავი ატყდება — იმუქრება სერენა — მე ტიტულის მოგება ჰაერივით მჭირდება და ამიტომ არაფრის დათმობას არ ვაპირებ. ქულების დაგროვება ვინუსსაც ძალიან უნდა, იგი ხომ შარშანდელი გამარჯვებულია და თუ წააგებს, იმდენი დააკლდება, რომ ჯენიფერს საპირველჩოგნოდ კიდევ დიდხანს ველარ გაედავება. ელოდეთ — დიდ ჯაჯგურს იხილავთ".

საამმატჩოდ სტატისტიკა რამდენსამე საშურ ფაქტს გვთავაზობს. სახელდობრ — შავდები აქამდე 6 მატჩში დაპირისპირებულან და უფროსს უმცროსი 5-გზის დაუჩაგრავს; შარშან ზედ სერენასთან გასამართი ინდიან-უელსური ფინალის წინ ვინუსს უცაბედად ტრავმამ უყელა და მანაც კორტზე გასვლა ვერ შეძლო — სერენას გამარჯვება კი მიენიჭა, მაგრამ პირად ანგარიშში ეს ვირტუალური მოგება არ ჩათვლია; და ბოლოს, აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის შემდეგ ისინი ერთმანეთს აღარსად დაჯახებიან.

ახლა კაპრიატისა და სელეშს რაც შეეხებათ. მესამე და მეოთხე წრეებში სამსეტიანი ბულრაობების შემდეგ შარშანდელმა ფინალისტმა ჯენიმ, როგორც იქნა, ჩვეული ფორმა დაიბრუნა და რუს ტატიანა პანოვას 56 წუთში გადაუარა. თანაც ეს ისე დამთრგუნველად გააკეთა, რომ ერთი პრეიკპოინტი რაა, მეტოქისთვის იმის შანსიც არ მიუცია.

აი, მონიკას კი ფრიადი ბრძოლა გადახდა. მისი და კიმ კლაისტერსის ხაზიდან ხაზამდე ხათქახუთქმა საათსა და 40 წუთს გასტანა და მაიამის ორგზის, 1990 და 1991 წლების გამარჯვებულმა მესამე სეტში მესამე მატჩბურთზე მოიგო.

**კაცები. საპრიზო 3,575 მილიონი $**

**მეოთხედფინალი**

**ანდრე აგასი (9, რუსეთი) — ნიკოლას ლაპენტი (20, ეკვადორი) 6:3, 7:5; მარსელო რიოსი (31, ჩილე) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 7:6 (7:0), 6:2**

**მეოთხე წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:4, 6:1; მარატ საფინი (6, აშშ) — ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 6:3, 6:3; ანდრეი პაველი (26, რუმინეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 1:6, 7:6 (7:5), 6:1**

ჩილელი მარსელო რიოსისა და წონოლა არგენტინელის, ხუან იგნასიო ჩელას შეხვედრა სამხრეთამერიკულ საფეხბურთო ფიესტას უფრო ჰგავდა, ვიდრე რესპექტაბელურ საჩოგბურთო სანახაობას. და ამაში უმთავრესი როლი მჩქეფრად მოთამაშე ვეტერანის გარდა ტრიბუნებზე შეფენილმა „ლატინოსებმა" შეასრულეს, მთელი თამაშის განმავლობაში თავიანთ ჯილებს ცეცხლოვანი სიმღერებითა და გამაყრუებელი ღრიანცელით რომ ამხნევებდნენ. ამ ფონზე რიოსის ნატიფმა და ბასრმა გარჯამ კიდევ უფრო მეტი ბრწყინვალება შეიძინა, დაახლოებით ისეთი, რაც მის თამაშს გვიანოთხმოცდაათიანებში და განსაკუთრებით 1998 წელს რომ ახლდა, როცა ერთი ხანობა კაცთა რეიტინგის კენწეროშიც ბოგინობდა.

ნახევარფინალში რიოსი თავის მეხუთე მაიამური ტიტულის გზაზე მბორგავ ანდერ აგასის გადაეყრება. მათ შორის აქამომდე შემდგარ ორსავე მატჩში ჩილელს ჯადო-ანდრანიკი ბეჭებზე დაუდია და ახლაც, თუ რამის მეიმედება, ეგ სწორედ მაგ ამბისო, ასე ამბობს. „ჰო, სულაც არ ვღელავ, თუკი მისი ორჯერ დამარცხება მოვახერხე, ახლა რატომ ვერ უნდა მოვერიო" — დასძენს რიოსი. სხვათა შორის, ჩილელმა არმენოამერიკელს ერთხელ სწორედ კიბისკეინურ ფინალში მოუგო. ეგ ამბავი რიოსის სამწვერვალო, 1998 წელს მოხდა. მასთან შესახლელად ანდრეც გამორჩეული ინტერესით ემზადება. თუმცა, რევანშის ალებას იმდენად არ ლაგიდევთ, რამდენადაც ჩემი ცოლის რეკორდი მინდა გავიმეოროო, აი, ეგრე იძახის. მის ცოლ შტეფი გრაფს კი, ვინმემ კიდევ თუ არ იცის და, მაიამიში კაცთა და ქალთა შორის უმეტესჯერ, 5-გზის. გაჰმარჯვებია.

აგასისთან დაკავშირებით აქვე იმის თქმა იუპრიანებდა, რომ იგი კი ბისკეინში გამარჯვებულთა შორის ერთდროულად ყველაზე ნორჩიც (19 წლისა) და ყველაზე ბებერიც (30 წლისა) გახლავთ. წლეულს ამერიკულ მაგარ საფრებზე კი 2 მარცხის წილ ანგარიშზე 13 გამარჯვებაც მოეძევება და 33 სეტიდან მხოლოდ 6 რომ აქვს წაგებული, უკლებლივ ტაიბრეიკებზე. დასკვნები ყველამ თვითონ გააკეთოს!

სხვაფრივ — რიოს — აგასის ბერიკაობაზე არანაკლებ იქაურთა ყურადღებას ორი ჭაბუკი ხარბულის, ბოლო წლების ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებულთა, ლეიტონ ჰიუიტისა და მარატ საფინის მოსალოდნელი განდაგანა იწვევს. პირველი ამერიკელ ჯეიმს ბლეიკს ჯერ კიდევ გუშინწინის მერე 6:4, 3:1 უგებდა და მეორე სეტში დარჩენილი სამი გეიმის მოსაგებად მთელი დღით ლოდინი მოუხდა — იქაური შხაპუნა წვიმის გამო. ნაწვიმარზე კი მცხუნვარე მზე გამოვიდა და ლეიტონმაც შავტუხა მეტოქე მეყსეულად დაშუშხა; ოღონდაც შარშან აშშ-ის ღია პირველობაზე მისი მისამართით გაშვებული რასისტული გამონათქვამებისგან ამჯერად თავი შეიკავა და კაცური ხელის ჩამორთმევით განერიდა.

ასევე ერთი ბეწო ოფლის გამოშვება დასჭირდა ჩილელი გონსალესის დასანგრევად მარატ საფინსაც. სამაგიეროდ, მას 5 ათასი დოლარის გადახდა მოუხდა. ეგ იმის გამო, რომ მავან იქაურ კორტისგარე ჩინოვნიკს ახლო ნათესავების მამალი გინება დაახურა თავზე, აქაოდა, დამტვრეული „მერსედესის" ნაცვლად ახალს რატომ არ მაძლევთო. თქვენთვის რომ უფრო გასაგები გახდეს, შეგახსენებთ, რომ იქ პირველ რვა ნომრად განთესილ მეჩოგნეებს პირადი მოხმარებისთვის სისინა „მერსედებს" ახვედრებენ. რუსმაც თავისი ეგრევე მიღეწა და ზემოთმოთხრობილი ამბავიც სწორედ მაშინ მოხდა, მილეწილის ახალზე გადასაცვლელად რომ მივიდა...

„რაც იყო, იყო — ამბობს მარატი — ლეიტონთან ჩემს მოსალოდნელ თამაშზე კი იმას გეტყვით, რომ ძაან ბახა-ბუხი იქნება. ერთმანეთში 2:2-ზე ვართ და ერთმანეთს მაგარ პატივსაც ვცემთ, მაგრამ იქ ისეთი ამბავი ატყდება, დედაშვილს არ აიყვანს ხელში. ის დიდებულ ფორმაშია და ინდიან უელსშიც რამდენიმე მძლავრი მოთამაშე დააჩოქა, მაგრამ ჯაბნად არც მე ვარ. მასთან თამაში გამორჩევით მიყვარს და იმედია, ყველა ნასიამოვნები დარჩება".

მათ შორის გამარჯვებული კი, ენკი-ბენკი, რუმინელ ანდრეი პაველსა და შვეიცარიელ როჯერ ფედერერს შორის მოგებულს შეხვდება.

**ლევან ძელაურაძე**





ლუკ ვანველი ნაბოლარა აღარ არის

### მონაკოს ტურნირი სწრაფ და დაფაზე დაუხედავ ჭადრაკში

# როცა აყვავდა ტიტა...

## ლუკ ვან ველს გვიანი აღტკინება ეწვია

**ალექსანდრ მოროზევიჩმა** ბოლო ტურის გარეშეც გაინაღდა ამბერის ტურნირის საუკეთესო „ბრმა" მოჭადრაკის ადგილი. მან თეთრებით ევგენი ბარეევს მოუგო და ალექსეი შიროვი რომც დაეწიოს, დამატებითი მაჩვენებლებით პირველ ადგილს ვერ წაართმევს. გარდა ამისა, მოროზევიჩმა ბარეევს სწრაფი ჭადრაკიც მოუგო და მოკლედ, ერთიანი პირველობისთვის ბრძოლას გამოთიშა. ამ პარტიაში თეთრებით მოთამაშე ბარეევმა ეპიკური 82-სვლიანი ომი გაუმართა მეტოქეს და პირწმინდად წააგო. მეტოქეები გარეგნულად მოსაწონ სვლებს აკეთებდნენ. როცა მოროზევიჩის პოზიციური უპირატესობა ძალიან მკაფიო გახდა, ბარეევმა გაწირა კუ ორ პაიკში და ლახტის წრეში ჩადგა. სადღაც 30 სვლის მანძილზე მოროზევიჩის მეფე, ეტლი და კუ მოთმინებით დასუნსულებდნენ წრის გარშემო და ქამარი ქამარზე გამოჰქონდათ, ხოლო როცა მთლად მთავარი ქამრის (თეთრი მეფე) გამოთრევა მომწიფდა, ბარეევმა დროს გადააცილა. ასეც რომ არ ყოფილიყო, მას ვერაფერი უშველიდა დაფაზე ნაჩვენებ პოზიციაში.

ერთიანი ცხრილის ლიდერთა ჯგუფში დიდი რღვევა მოხდა, კოჰორტა ისე სიმეტრიულად გაიშალა, მეტი არ შეიძლება. იხილეთ ცხრილი, სადაც პირველი 7 მოჭადრაკე ზუსტად ნახევარქულიანი სხვაობებით ჩაწალიკებულა. საამო არის საჭვრეტად...

რაღა დროს მოგება იყო, მაგრამ ჰოლანდიის ჩემპიონმა ლუკ ვან ველმა ცალი კარი გრუხუნით გაიჯახუნა და იქნებ ბოლო ტურში მეორე კარზეც იგივე საქმე გაიმეოროს. ვან ველმა სამსალა შეასვა ბორის გელფანდს, რომელიც პირველი ადგილისთვის თამაშის კანდიდატი იყო და აღარ არის. დაფაზე დაუხედავ პარტიაში გელფანდმა თეთრებით ყლაპა, ხოლო სწრაფი ჭადრაკისა 75 სვლა გაგრძელდა.

ვან ველს წამოუარა მიტელშპილში, სადაც ხარისხი შესწირა და პოზიცია მეტოქეზე რიგიანიააწყო. მერე ჰოლანდიელმა მატერიალი დაიბრუნა, პოზიციური უპირატესობა ბოლომდე არ გასცა და მალე დაფიქსირდა ენდშპილი: თეთრი ლაზიერი შავი ეტლების წინაამდეგ, რომელშიც ორივე მხარეს 4-4 პაიკი შერჩენოდა. თითქოს თეორია ორ ეტლს ლაზიერზე ოდნავ ძლიერად მიიჩნევს, მაგრამ აქ სხვაგვარად იყო, თეთრი ჯაბნიდა. საერთოდ, როგორც ენდშპილის წესია, ორივე მხრის მძიმე არტილერია ქვეითების ლაზიერად გარდაქმნას ემსახურებოდა და რადგან თეთრი ქვეითები მეტი მხარდაჭერის წყალობით უფრო ენერგიულად მიჩოჩავდნენ მე-8 ჰორიზონტალისკენ, გელფანდმა ჯერ ერთი ეტლი ჩააგდო თეთრი ლაზიერის ხახაში, მერე — მეორე. დაიღუპნენ თეთრი გამსვლელი პაიკებიც.



შემდეგ გელფანდი თავის ორი პაიკის გარდასახვას ცდილობდა, მაგრამ ტანკზე ხმლით მისვლას რა აზრი აქვს, ამიტომ ვან ველმა მოიგო და აუტსაიდერობის ლაქა ტურნირზე პირველად მოიშორა.

**დავით გულუა**

| ვითარება 10 ტურის შემდეგ |
| --- |
| სწრაფი ჭადრაკი |
| 1-3. გელფანდი, ივანჩუკი, ბარეევი 6,5; 4-5. ლეკო, ტოპალოვი 6; 6-7. კრამნიკი, შიროვი 5,5; 8. მოროზევიჩი 5; 9. პიკეტი 4,5; 10-11. ალმაში, ლიუბოევიჩი 3; 12. ვან ველი 2 |
| თვალხუჭუნა ჭადრაკი |
| 1. მოროზევიჩი 8,5; 2. შიროვი 7,5; 3. ლეკო 6,5; 4. ივანჩუკი 5,5; 5-6. ბარეევი, კრამნიკი 5; 7-9. ალმაში, გელფანდი, ტოპალოვი 4,5; 10-11. ვან ველი, პიკეტი 3,5; 12. ლიუბოევიჩი 1,5 |
| ერთიანი ცხრილი |
| 1. მოროზევიჩი 13,5; 2. შიროვი 13; 3. ლეკო 12,5; 4. ივანჩუკი 12; 5. ბარეევი 11,5; 6. გელფანდი 11; 7-8. კრამნიკი, ტოპალოვი 10,5; 9. პიკეტი 8; 10. ალმაში 7,5; 11. ვან ველი 5,5; 12. ლიუბოევიჩი 4,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტური რომ ჩაიშლება, დარბაზი მერე გამოჩნდებაო

## – ალო, ხელბურთის დარბაზია?
## – დიახ, გენაცვალე.
## – დღეს თამაშები იქნება?
## – არა, უამინდობის გამო გადაიდო

**თითქოს** გასაჭირი აკლდა ლამის სულმლაფავ ქართულ ხელბურთს, რომ ახალი თავსატეხი არ დამატებოდა — დარბაზის უხეირობის მიზეზით ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მორიგი, მესამე ტური ჩაიშალა.

თავიდან საქმე არც ისე რთულად იყო, რთული შედეგი კი მოჰყვა. ჯერ კიდევ შარშან ოქტომბერში შედგენილ-დამტკიცებული კალენდრის მიხედვით, მესამე წრე 27-31 მარტს უნდა შემდგარიყო, სავარაუდოდ, ტრადიციულ სარბიელზე — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში. მაგრამ მიზეზთა გამო ეროვნულმა სახელბურთო ასოციაციამ ნაცად არენას სხვა საასპარეზო — ჯემალ ცერცვაძის სახელობის სპეციალიზებული სპორტსკოლა ამჯობინა და... შარში გაეხვია. გასაკვირია, რით სჯობს უშუქო, უწყლო, უტაბლოო დარბაზი სტუ-ს? თუმცა თამაშების ჩაშლის მიზეზი ეს კი არა, „არასახელბურთო ამინდი" გახდა. მოკლედ, თითქმის ოცი წლის შეუკეთებელ დარბაზში წყალი ჩავიდა და მოედანზე გუბეები დადგა. ორგანიზატორთა იმედიანი ვარაუდი, ტურისას იქნებ წვიმა არ წამოვიდესო, არ გამართლდა და რაკი ჩვენში ამინდიც კი ჩვენივე მტერია, ისეთი დასცხო, რომ დამბალ ფიცარნაგზე სრიალს მწვრთნელ-მოთამაშეებმა გაცლა და მოცდა ამჯობინეს. ეს გადაწყვეტილებაც თავად მიიღეს, რადგან, რაოდენ უცნაურიც უნდა გეჩვენოთ, სახელბურთო ხელმძღვანელობიდან იმ დროს დარბაზში არავინ იმყოფებოდა.

რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ? მართალია, გუშინ შედგა ასოციაციის ხელმძღვანელთა და მწვრთნელების შეხვედრა, მაგრამ, სამწუხაროდ, მატარებელმა უკვე ჩაიარა. მეტად მწვავე, ყურსატკენი, გამომწვევი კამათი გაიმართა. მთავარი, ანუ სარბიელისა და ტურის ჩატარების საკითხები გაირკვა, მაგრამ გასაკვირი ისაა, რომ მაინცდამაინც ასე უნდა მომხდარიყო, საქმეს რომ შველებოდა? თუ ის არ იცოდნენ, რომ დარბაზში წყალი ჩადიოდა, ანდა ის, რომ მარტი თბილისში ავდრიანია და „იქნებას" იმედზე არ ყოფილიყვნენ?

მოკლედ, ურემი გადაბრუნდა თუ არა, გზაც მაშინვე გამოჩნდა. ამ შემთხვევაში არმიის სპორტული კლუბის დარბაზი, რომლის დაქირავებაც თურმე არც ისე ძვირი და შეუძლებელი ყოფილა. კონკრეტულად — 500 ლარი ხუთ სათამაშო დღეზე მაშინვე გამოინახა. არადა, ფული ასოციაციას არ ჰქონდა, რადგან მხოლოდ სამ გუნდს გადაუხდია სამონაწილეო 1700 ლარი, დანარჩენ სამს კი — თანხის ნაწილი. გამიგონია, ტარანი თვლითააო, ჰოდა, ჩვენც დავთვალოთ. შეტანილი ლარები დარბაზის ქირას და მსაჯთა გასამრჯელოს კი უნდა გასწვდენოდა. ზოგი ჭირი მარგებელიაო, მერამდენედ ასე გამოვიდა. ეტყობა, ეს დავიდარაბა უნდა ატეხილიყო, რომ ბიჭებს ნორმალურ, სტანდარტულზომებიან და ტაბლოიან დარბაზში თამაშის საშუალება მისცემოდათ.

გუშინდელ შეხვედრაზე საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, ბატონმა ჯემალ ცერცვაძემ ასოციაციის სახელით ბოდიში მოუხადა მწვრთნელებს და მოთამაშეებს ტურის ჩაშლისთვის, აუწყა, რომ ჩემპიონატი პირველ აპრილს განახლდება და დარწმუნებით განაცხადა, მომდევნო, მეოთხე წრე გაცილებით მაღალ დონეზე ჩაივლისო.

რაკი იმ დავა-კამათის დამსწრე გახლდით, საკუთარ ვარაუდსაც მოგახსენებთ. მიუხედავად საიმედო დაპირებისა, გვეეჭვება, ყველაფერი სასურველ დონეზე იყოს. მარტო დარბაზის პრობლემა ხომ არაა. მსაჯობაზეც ვთქვათ. გლდანში გუბეებს რომ არ შევეწუხებინეთ, არა მგონია, საქმე კეთილად დასრულებულიყო. მოგეხსენებათ, ყოველ მატჩს ორ-ორი მსაჯი ემსახურება, დღეში კი სამი შეხვედრა ტარდება. ადგილზე და დროზე მხოლოდ ერთი არბიტრი გამოცხადდა. მას თავი რომც გამოედო და სამივე თამაშის გაძღოლა მოეხერხებინა, მაინც მარტო ხომ არ გავიდოდა მოედანზე?

რაღა უნდა დავამატოთ? მობრძანდით ორშაბათს თორმეტის ნახევარზე სკა-ს დარბაზში და ყველაფერს საკუთარი თვალით იხილავთ.

**გია ახალაძე**



# გაჭირვებული ქვეყნების სპორტულ ფედერაციათა საყურადღებოდ!

## სიახლე სპორტსმენთა გადაბირების საქმეში

# შენი შვილი — ჩემი შვილი

**საქართველოში** გაუსაძლისი ცხოვრების გამო ქვეყანას ბევრი ტოვებს. ისინი საამისოდ ნემსის ყუნწში ძვრებიან და თავის დაღწევის ათას საშუალებას ეძებენ. ასე მოიქცა ჩვენს ძიუდოისტთა სამყაროში ცნობილი კოლია გარაქლოვიც, რომელმაც რამდენიმე წლის წინ საბერძნეთს მიაშურა, ილიადისი გახდა და იქაურ ტატამზე დაიწყო საქმიანობა. ეს ილიადისი თუ გარაქლოვი ამ ზამთარს ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირს სწვევია როგორც საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი და აქ თვალი დაუდგამს ჩვენი პერსპექტიული ძიუდოისტის ჯარჯი ზვიადაურისთვის, რომელმაც შარშან ესპანეთის ქალაქ მურსიაში გამართულ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობა მოიპოვა. ვისთვის კარგი, ვისთვის ავი ზრახვებით მან საამართლოს მეშვეობით ეს ჩვენი ოქროს ბიჭი იშვილა და ლამის საბერძნეთშიც წაიყვანა იქაური მოქალაქეობის მისაღებად, მაგრამ გუშინ საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში „დაგვამშვიდეს", საქმეში ჩავერიეთ და ჯარჯი ზვიადაურს არსად გავუშვებთო.

მაგრამ საქართველოში სიმშვიდე ხომ ნაადრევია?! ჯარჯი ზვიადაურივით ევროპის ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები სხვებიც საკმაოდ გვყავან, მათზე ნადირობა კი ალბათ გაგრძელდება...

**ავთანდილ ტყვიშელი**




გეპატიჟებათ გუდაურში სასტუმრო „ოზონი"

ორჯერადი კვება, მანქანით მომსახურება საბაგირომდე. ბარი და საუნა თქვენს განკარგულებაშია

☎ 899 54 54 87, 50 1140


## NHL რეგულარული ჩემპიონატი




REUTERS ფოტო

ნიუჯერსელი სტივ მაკენზი პიტსბურგელთა ოყლაყი პოლონელის კშიშტოფ ოლივას უროსავით მუშტს გადაურჩა

# განდევნეთ ეშმა შაიბიდან

**27 მარტი**

**აილენდერსი 1:4 ოტავა 1:1 0:1 0:2**
**0:1 პოსა (1), 1:1 ჩერკავსკი (5), 1:2 ბრიუნე (25), 1:3 ჰავლატი (42), 1:4 ჰავლატი (53)**

ოტავა „ნასაუ კოლიზიუმში" თავს შინაურულად გრძნობს, 1996 წლიდან არ წაუგია სტუმრად აილენდერსთან, 13 თამაშიდან 10-ჯერ გაიმარჯვა.

**ატლანტა 2:4 მინესოტა 0:1 1:1 1:2**
**0:1 გაბორიკი (6), 1:1 სვარტვადეტი (30), 1:2 რესტი (40), 1:3 ბრიუნეტი (50), 2:3 პრკაჩი (59), 2:4 ლააქსონენი (60)**

აი, რას ნიშნავს განსაკუთრებული პასუხიმგებლობა. ტრადიციისამებრ, მარტში გუნდს ახალი კაპიტანი ჰყავდა, ენდრიუ ბრიუნეტი (მინესოტაში კაპიტანი ყოველთვე იცვლება). ჰოდა, ათი თამაშია, მას უგოლოდ არ დაუტოვებია მოედანი (5 გოლი და 12 პასი).

**პიტსბურგი 3:4 ნიუ ჯერსი 1:1 1:0 1:3**
**0:1 ჰოლიკი (4), 1:1 ტომსი (6), 2:1 მოროზოვი (23), 3:1 რ. რობიტაილი (42), 3:2 რიში (45), 3:3 ჰოლიკი (54), 3:4 ელიაში (55)**

ნიუჯერსელთა ახალბედებმა კვლავაც ისახელეს თავი. სწორედ სტივენ რიშესა და მის ასისტენტ ჯო ნუინდაიკის გოლის შემდეგ მიეცათ სტუმრებს იმედი და დაუწყეს დევნა დაწინაურებულ პიტსბურგს. ბოლოს კი კვლავ „არაორდინალური ჯოს" პასით დაასამარა პატრიკ ელიაშმა „პინგვინების" საპლეიოფო ოცნება.

**რეინჯერსი 2:4 ფილადელფია 0:1 0:1 2:2**
**0:1 უილიამსი (10), 0:2 დეჟარდენი (39), 1:2 პ. ბურე (41), 1:3 ლეკლერი (51), 2:3 ლინდროსი (57), 2:4 პრიმო (60)**

ახლა ბობი კლარკს შეუძლია, იზეიმოს. მას შემდეგ, რაც ოდესღაც მისი საყვარელი შეგირდი ერიკ ლინდროსი მოსისხლე მტრად ექცა და რეინჯერსში გაიქცა, ფილადელფიელთა გენერალური მენეჯერისთვის ნიუიორკულ კლუბთან თამაშმა განსაკუთრებული აზრი შეიძინა. მართალია, ამ მეტოქეების ბრძოლები წლეულს გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც კლარკის ბიჭებმა თქვეს, რომელთაც რეინჯერსს თასზე მოხვედრის არავითარი შანსი არ დაუტოვეს. თამაში თანაბარი იყო, მაგრამ მასპინძელთა გულის გასახეთქად ფილადელფიელთა მეკარე ბრაიან ბუშე შეუდარებელი იყო. 47-ე წუთზე იგი ბრწყინვალედ გაუმკლავდა პაველ ბურეს დარტყმას — ყინულზე გაშოტილმა შაიბა მარცხენა ხელით მაინც შეაჩერა. მართალია, ლინდროსმა და კომპანიამ ამის შემდეგაც სცადეს თამაშის გადარჩენა, თავად ერიკმა გაიტანა კიდეც, მაგრამ ბოლოს ბედმა კიდევ ერთხელ დასცინა ნიუიორკელებს, როდესაც ლინდროსის ფილადელფიელმა მემკვიდრემ, კეიტ პრიმომ მათ დაცარიელებულ კარში შეასრიალა შაიბა.

„საბოლოო წარმატებაში ეჭვი წამითაც არ შემპარვია მაშინაც კი, როდესაც მეტოქემ ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა. ვამაყობ ბიჭებით, დღეს ძალიან დამაჯერებლად ითამაშეს" — თქვა კმაყოფილმა კლარკმა.

**ანაჰაიმი 2:4 ფინიქსი 0:1 2:1 0:2**
**0:1 ლემიე (4), 1:1 კარნი (28), 2:1 ტიტოვი (33), 2:2 სიმპსონი (36), 2:3 ბრირი (41), 2:4 რადივოევიჩი (46)**

ნათქვამია, ბედი ძლიერებს სწყალობსო. გადამწყვეტი შაიბა, რომელიც დანიელ ბრირმა შეაგდო მასპინძელთა კარში, უაზრო რიკოშეტს მოჰყვა, მაგრამ სადღეისოდ რომ ფინიქსი ანაჰაიმზე ძლიერია, სატურნირო ცხრილიდანაც ჩანს.

**ჩიკაგო 4:1 ნეშვილი 1:0 2:0 1:1**
**1:0 ბელი (12), 2:0 ჰაუსლი (35), 3:0 ფიცჯერალდი (40), 3:1 არხიპოვი (53), 4:1 ამონტე (60)**

დროა, ნჰლ-ის მესვეურებმა რაიმე მოიფიქრონ, თორემ ისევ ტრაგედია დატრიალდება. ჩიკაგოში გამართული მატჩის პირველ პერიოდში ვერაგმა შაიბამ კინაღამ კიდევ ერთი ქომაგის სიცოცხლე შეიწირა. 42 წლის კრისტოფერ ჩიოკიოს რეზინის დისკი თავში მოხვდა, იგი უახლოეს საავადმყოფოში წაიყვანეს და ექიმებმა მხოლოდ ორი საათის შემდეგ ამოისუნთქეს შვებით — ჩიოკიოს სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ჩიკაგოელთა ვეტერანმა მცველმა ფილ ჰაუსლიმ კარიერაში 1200-ე ქულა მოიგროვა. მოქმედ უკანახაზელთა შორის ეს საუკეთესო შედეგია.

**სამველ ლარიბიანი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთ კონფერენცია** | | | | | | | |
| ბოსტონი | 74 | 41 | 5 | 7 | 21 | 216:179 | 94 |
| ფილადელფია | 72 | 40 | 9 | 3 | 20 | 218:165 | 92 |
| კაროლინა | 73 | 30 | 14 | 5 | 24 | 194:202 | 79 |
| ტორონტო | 73 | 38 | 9 | 4 | 22 | 214:182 | 89 |
| ოტავა | 74 | 36 | 8 | 7 | 23 | 223:188 | 87 |
| აილენდერსი | 72 | 35 | 7 | 4 | 26 | 208:198 | 81 |
| ნიუ ჯერსი | 73 | 34 | 9 | 4 | 26 | 180:169 | 81 |
| ვაშინგტონი | 74 | 31 | 10 | 1 | 32 | 204:225 | 73 |
| მონრეალი | 73 | 29 | 12 | 3 | 29 | 184:193 | 73 |
| რეინჯერსი | 75 | 31 | 4 | 4 | 36 | 201:235 | 70 |
| ბუფალო | 73 | 30 | 9 | 1 | 33 | 189:182 | 70 |
| პიტსბურგი | 73 | 28 | 7 | 4 | 34 | 183:215 | 67 |
| ტამპა | 72 | 25 | 10 | 4 | 33 | 156:186 | 64 |
| ფლორიდა | 73 | 20 | 7 | 5 | 41 | 157:222 | 52 |
| ატლანტა | 74 | 19 | 8 | 4 | 43 | 172:259 | 50 |
| **დასავლეთ კონფერენცია** | | | | | | | |
| დეტროიტი | 73 | 50 | 7 | 2 | 14 | 228:157 | 109 |
| კოლორადო | 73 | 40 | 7 | 1 | 25 | 184:151 | 88 |
| სან ხოსე | 73 | 38 | 8 | 3 | 24 | 212:177 | 87 |
| ჩიკაგო | 72 | 36 | 12 | 1 | 23 | 195:185 | 85 |
| ლოს ანჯელესი | 73 | 36 | 9 | 4 | 24 | 191:168 | 85 |
| ფინიქსი | 73 | 35 | 9 | 5 | 24 | 195:183 | 84 |
| სენტ ლუისი | 72 | 35 | 8 | 4 | 25 | 192:166 | 82 |
| ედმონტონი | 74 | 34 | 11 | 3 | 26 | 188:168 | 82 |
| დალასი | 72 | 33 | 10 | 4 | 25 | 195:190 | 80 |
| ვანკუვერი | 74 | 35 | 6 | 3 | 30 | 222:192 | 79 |
| კალგარი | 73 | 28 | 11 | 3 | 31 | 178:196 | 70 |
| მინესოტა | 73 | 25 | 11 | 7 | 30 | 175:206 | 68 |
| ნეშვილი | 72 | 26 | 12 | 0 | 34 | 174:196 | 64 |
| ანაჰაიმი | 74 | 26 | 7 | 3 | 38 | 163:184 | 62 |
| კოლუმბუსი | 73 | 20 | 8 | 4 | 41 | 146:218 | 52 |

პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან. დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამოსუნთქვა მაიამიში





REUTERS მაიამიდან

მაიამიში, გარსაქვეყნო ნაოსნობის მეხუთე ეტაპის მომგები შვედური „ასა ებლოის" შკიპერი ნილ მაკდონალდი პრიზს ართმევს რეგატის თავმჯდომარეს ჰელკ ალტენს. „ასა ებლოიმ" ფინიშამდე თორმეტი საათით ადრე იგდო ხელთ ეტაპის ლიდერობა და მაიამშიც პირველი მივიდა. ამერიკის ნაპირს მეოთხე მიადგა „სების" ეკიპაჟი, რომელსაც სწორედ მაშინ გადაუღეს სურათი, როცა ბაჰამის კუნძულებს უქცევდა გვერდს.

# გამოცდა



REUTERS ტორკვეიდან

გუშინ გაუწყებდით, რომ ავსტრალიაში ზვიგენებისგან დამცავი საგანგებო მოწყობილობა გამოიგონეს. ამ მოწყობილობას წვივებზე მოირგებენ მოსერფინგენი და თუკი მათ ზვიგენი წაეტანება, აგი მტაცებელი დენის დაკვრით დარეტიანდება. ახლა წყალქვეშ სწორედ ამ მოწყობილობის გამოცდა მიმდინარეობს და ვინ იცის, დაფაზე მოხდენილად შემომდგარმა მსოფლიოს ნომერ პირველ მოსერფემ, ჯოელ პარკინსონმა მალე სწორედ ამგვარი დამცავები მოირგოს.








REUTERS მონრეალიდან

# ხუთი დოლარი ჰოკეისთვის

კანადელ ჰოკეისტთა ორმაგ ოლიმპიურ ოქროს მათი სამშობლო ახალი ხუთდოლარიანის გამოშვებით გამოეხმაურა. ხუთდოლარიანს ნორჩ ჰოკეისტთა ვარჯიშის სურათი ამშვენებს. გოგონა კი, რომელსაც კიმ სენ პიერი ჰქვია, ნაკრების მეკარე და შესაბამისად ოლიმპიური ჩემპიონია.



REUTERS სან პაულოდან

# მონტოია თამაშობს

ახლოვდება ბრაზილიის დიდი პრიზის გათამაშება მეფორმულეთა შორის. „უილიამსის" კოლუმბიელი პილოტი ხუან პაბლო მონტოია კი სათამაშო „ფორმულას" ჩაჯდომია ბრაზილიელ ნორჩებთან ერთად. მონტოიას სარბოლად თავისივე „უილიამსის" მოდელი აურჩევია და გვარიანი სერიოზულობითაც ჩაბმულა თამაშში.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი. გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge